ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 26 ოქტომბერი 2002 №204 (1726) | ფასი 50 თეთრი





## დინამო: ალექსიძის პრეზენტაცია
## მერანი: შიმშილის პრეზენტაცია

ქართულ ფეხბურთში რაღაცეები ხდება — კარგიც და ცუდიც. ამბობენ, ცუდით დაწყება სჯობსო და, ჩვენც ასე მოვიქცეთ.

ხვალ ჩემპიონატის მორიგ ტურში „ტორპედო" თბილისში ეწვევა „მერანს". ქუთაისელები რომ ჩამოვლენ ,ნაღდი ამბავია, მაგრამ აქ ვინ დახვდება, საკითხავი ეგ არის. მერანელები სამი თვის მიუღებელ ხელფასს აქამდე როგორც ელოდნენ, ახლაც ისევე ელიან და დიდი შანსია, წინა ტურის მსგავსად არც ახლა გავიდნენ სათამაშოდ. კლუბის პრეზიდენტი ანზორ მამალაძე მოთამაშეებს ფულის შოვნას კი ჰპირდება და სიტყვის კაცადაც იცნობენ, მაგრამ ერთია — როდის იშოვის. გუნდი მზადაა, დაპირების დაიჯეროს და ორი კვირაც მოითმინოს. მამალაძემ დღეს უნდა თქვას, იშოვის ფულს ამ ვადაში თუ ვერა.

თუ ვერა? მაშინ გუნდი სათამაშოდ არ გავა და უმაღლესი ლიგიდან მოიკვეთება. ფეხბურთელები არიან ცოდოები, თორემ უსახსრობით ნელში გაწყვეტილ გუნდს უმაღლეს ლიგაში რომ არაფერი ესაქმება, საკამათო არ უნდა იყოს.

ამასობაში ფულიანები გაძლიერებაზე ფიქრობენ. ზეგ „ლოკომოტივში" ორ პერუელს ელიან, გასინჯავენ და თუ ივარგეს, დაიტოვებენ. ამ საქმეში, ცხადია, რკინიგ ზელთა პერუელი მწვრთნელის, ლუის ცაკარიასის ხელი ურევია.

პერუელთა ავან-ჩავანს იმ კვირაში გავიგებთ, „დინამოში" კი ნაცნობი ფეხბურთელი, ჩელსელი რატი ალექსიძე მივიდა, ვისაც რა ხანია, აღარ უთამაშია. ივო შუშაკმა თქვა, „დინამო" „ჩელსი" არაა, მაგრამ საქმისთვის ასე უკეთესიაო.ისე,ფეხბურთელს ევროპული წარდგენა მოუწყვეს და შუშაკმაც თავისი საქმე იცის. ვინძლო, ხორვატს კარგი გუნდის შექმნაში ერთადერთი ბარიერი დახვდეს — „მერანივით" გაჭირვებულ გუნდებთან თამაშით მიღებული გამოცდილება ევროთასზე ეგებ საკმარისი არ გამოდგეს. მაგრამ ეს სულ სხვა, ჩვენს სინამდვილეში უძნელესად მოსაგვარებელი პრობლემაა.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

# ბოისა!

## მედიავარსკვლავი ევროვარსკვლავობისკენ



– ოლიმპიელთა შორის ხალხს ყველაზე მეტად მე ვუყვარვარ და გულიანადაც მქომაგობენ. თუკი წინა სეზონში მხოლოდ ერთხელ ჩამომართვეს ინტერვიუ, ახლა დღე არ გავა, რომელიმე გაზეთის ჟურნალისტი არ მოვიდეს, ან ტელევიზიაში არ მიმიწვიონ. ყოველი თამაშის შემდეგ ჟურნალისტებს მხოლოდ ჩემთან სურთ საუბარი – ეს ვინმე თვითკმაყოფილი ბიჭუკელას სიტყვები კი არა, ფაქტია. პატარა და კოხტა სლოვენიის მთავარქალაქ ლიუბლიანაში ბევრი დიდი კალათბურთელი უნახავთ. არცთუ შორეულ წარსულში იქ ბურთაობდნენ აწ ნბა-ში მიღებული ქართველები ვლადიმერ სტეფანია და ნიკოლოზ ცქიტიშვილი, იქაურებს თავისიანებზე არანაკლებ უყვარდათ ჩვენებური გოლიათები, მაგრამ ახლა „ოლიმპიას" დარბაზში სხვა სახელი გაისმის – ბოისა, ბოისა... შორეულ სლოვენიაში კიდევ ერთი ქართველი ევროვარსკვლავი დაიბადა?

რუსთაველი ფორვარდი ვლადიმერ ბოისა ახლა ლიუბლიანის „ოლიმპიაში" პირველი კაცია, მერე რა, რომ „ოლიმპია" შარშანდელს აქეთ ოდნავ შესუსტდა, მთავარი ისაა, რომ გუნდი კვლავ ევროლიგაშია, თან არა აუტსაიდერად და თამაშებსაც იგებს. ჩვენებურს კი ამ მოგებებში ლიდერის წილი უდევს. ის აგდებს ყველაზე მეტ ქულას, ხსნის ვერჩაგდებულებს, გუნდი გამარჯვებამდე მიჰყავს...

იმ ალმართს, რომელიც ბოისამ აიარა, ახლახან მიადგა ქართული კალათბურთის კიდევ ერთი აწმყო და მომავალი. ტრევიზოს „ბენეტონში" გაშინაურებული მანუჩარ მარკოიშვილი დიდ და ნამდვილ კალათბურთში პირველ ნაბიჯებს დგამს და ახლახან თავისი პირველი ორი ქულა მიითვალა. გამარჯვების გზაზე ევლოს!

ბოლო, შინაური კალათბურთი, უფრო სწორად, „დინამო": ერთადერთი ქართული კლუბი ევროტურნირებში ოთხშაბათს „ჩელენჯ ქაფის" პირველ მატჩს გამართავს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი

# დინამო წარმოგიდგენთ ალექსიძე 27

## რატის ბიჭობა შუშაკს სტანიჩმა დაუდასტურა





*რატი ალექსიძე სამწლიანი განშორების შემდეგ მშობლიურ თბილისის „დინამოში" დაბრუნდა. სამშაბათს კლუბის ხელმძღვანელობამ ფეხბურთელთან კონტრაქტი 2004 წლის 1 იანვრამდე გააფორმა, გუშინ კი ამ ფაქტის პრეზენტაცია დიღმის საწვრთნელ ბაზაზე მოეწყო. ევროპულ თარგზე მოჭრილმა თბილისის „დინამომ" თავისი ახალი ფეხბურთელი ევროპულადვე წარადგინა*

**რატი ალექსიძემ** ინგლისური „ჩელსის" 27-ნომრიანი ლურჯ-თეთრი მაისურა ამავე ფერებითა და ამავე ნომრით გაწყობილ „დინამოს" სამოსში გაცვალა. მშობლიური კლუბის მაისურა რატიმ გუშინ კლუბის ხელმძღვანელობის, ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების თვალწინ ზედ საწვრთნელი მოედნის კიდეში მოირგო. მას მაისურა „დინამოს" აღმასრულებელმა დირექტორმა გია ფირცხალავამ გადასცა, გადინამოელება მიულოცა და ასაკენწლად ბურთიც აუგდო.

რატი ალექსიძე კმაყოფილი იყო, გახალისებული. მისი თითქმის სამწლიანი უქმობა დამთავრდა, უქმობა, რადგანაც ამ ნიჭიერმა ფეხბურთელმა ლონდონში სამწლიანი ყოფნისას „ჩელსიში" სულ ორჯერ ითამაშა.

***გია ფირცხალავა, „დინამოს" აღმასრულებელი დირექტორი:***

— დიდი ხანია, რატის „დინამოში" გადმობირება გვსურდა, ზაფხულიდან მასთან ხშირი კონტაქტი გვქონდა, თუმც საბოლოო შეთანხმებას ორიოდ დღის წინ მივაღწიეთ. ალექსიძის „ჩელსიდან" გათავისუფლების ამბავი სხვა კლუბებმა რომ შეიტყვეს, მისი ხელში ჩაგდება მოინდომეს, თუმც ამ საქმეში ჩვენ ვიმარჯვეთ, რატიმაც „დინამო" აირჩია. ეს ფეხბურთელი „დინამოს" გააძლიერებს. დღესდღეობით მოლაპარაკებას ვაწარმოებთ კიდევ ორ ქართველ ფეხბურთელთან, თუმც მათ ვინაობას ჯერ ვერ გაგიმხელთ. თუ ისინი გადმოვიბირეთ, ჩემპიონატის პირველი ეტაპის მერე შეიტყობთ.

***ივო შუშაკი, „დინამოს" მწვრთნელი:***

— რატი ალექსიძის შესაძლებლობები ძალიან კარგად ვიცი. იგი ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდის წევრი იყო. სამწუხაროდ, რატიმ იჩქარა, როცა „ჩელსიში" წასვლა გადაწყვიტა და ახლა უკანვე დაბრუნებამ მოუწია. იცით, ერთი ნაბიჯი უკან უნდა გადადგა, თუ გსურს, ორი ნაბიჯით წინ წაზვიდე. ალექსიძის „დინამოში" მოსვლით გუნდიც მოიგებს და ფეხბურთელიც. ის ჯერ უთამაშებელია და ცოტა არ იყოს, პრაქტიკა აკლია, თუმც ყველას კარგად იცნობს და ნელ-ნელა ჩვენს ახალ გუნდს შეეჩვევა. დღეიდან ალექსიძე „დინამოს" სრულუფლებიანი წევრია და ძირითად შემადგენლობაში ადგილს მაშინვე მიიღებს, როგორც კი დაიმსახურებს. კარგია, რომ რატი გუნდში კონკურენციას კიდევ უფრო გაზრდის. ამ ფეხბურთელზე ბევრი ინფორმაცია მაქვს. ვიცი, „დინამოში" უწინ მარცხენა ნახევარმცველად თამაშობდა, „ჩელსიში" თავდამსხმელად. სხვა პოზიციებზეც შეიძლება მისი გამოყენება. მაღალია, თავით კარგად თამაშობს, არც სისწრაფე დაეწუნება. ამას წინათ „ჩელსიში" მოთამაშე მარიო სტანიჩს სპეციალურად დავუკავშირდი, რატის შესაძლებლობებზე ვესაუბრე. ჯერჯერობით ალექსიძის ადგილს თავდასხმაში ვხედავ, მერე კი ვნახოთ, რომელ პოზიციაზეც გამოგვადგება, იქ ვათამაშებთ.

შუშაკმა ვარჯიში დაიწყო, ფეხბურთელები მწვრთნელის ირგვლივ იკრიბებოდნენ, **რატი ალექსიძე** კი მოედნის პირას წუთითაც შეყოვნდა და გვითხრა:

— სულაც არ ვფიქრობ, რომ რაკი თბილისში დავბრუნდი, ნაბიჯი უკან გადავდგი. „დინამო" ჩემი მშობლიური გუნდია. წარმატების მისაღწევად თავს არ დავზოგავ. როცა „დინამოში" თამაში გადავწყვიტე, იმ წუთიდან ყველა სხვა გუნდი დამავიწყდა. ახლა მხოლოდ „დინამოზე" ვფიქრობ. მართალია, კარგა ხნის უთამაშებელი ვარ და პრაქტიკა მაკლია, მაგრამ ვიმედოვნებ, ძველებურ ფორმას მალევე დავიბრუნებ.

რატი ალექსიძემ 27-ნომრიანი მაისურა სავარჯიშოთი შეცვალა, თვალი ჩაგვიკრა და წამშივე ძველ-ახალ თანაგუნდელებს შეუერთდა. რატი „დინამოს" დაუბრუნდა.

**ქოჩა ინასარიძე**

**ბადრი ქეთილაძის ფოტოები**



# წავიდნენ? მოვლენ!

## ცაკარიასი ჰერუელ ფეხბურთელებს და გოგიჩაიშვილს ელის

თბილისის „ლოკომოტივში" მომხდარ ცვლილებებზე სისტემატურად გაწვდიდით ინფორმაციებს.

გუნდიდან გაშვებულ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს საკუთარი პოზიცია დღემდე არ დაუფიქსირებიათ და მათი დათხოვნის ზუსტ მიზეზებზეც ბევრს ვერაფერს მოგახსენებთ. ბერძენ-პერუელ-გერმანელი ლუის ცაკარიასი კი მუშაობას აგრძელებს და გვარწმუნებს, დრო მომეცით, კარგ გუნდს ავაშენებო.

მიეცემა თუ არა დრო უცხოტომელს, რკინიგზული კლუბის ხელმძღვანელთა გადასაწყვეტია. ორ-სამ თვეში კი გუნდი რომ არ კეთდება, ყველას მოგეხსენებათ.

ჰოდა, ლუის ცაკარიასიც აქედანვე შეუდგა საქმეს. ირგვლივ ახალგაზრდა ხალხი შემოიკრიბა და ხელებიც დაიკაპიწა. რა გამოვა ამ საქმიდან, ამასაც დრო გვიჩვენებს.

გუშინ კი „ლოკომოტივის" თავკაცს გუნდის საწვრთნელ ბაზაზე შევხვდით.

**— „ლოკომოტივში" ბოლოხანს ძირეული ცვლილებები მოხდა. რა მდგომარეობაა ახლა გუნდში?**

— კარგი სიტუაციაა. ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი. ჩვეულად ვარჯიშობენ და მომავალი მატჩებისთვის ემზადებიან.

**— დღემდე უცნობია გუნდიდან რამდენიმე ფეხბურთელის გაშვების მიზეზი...**

— ვერაფერს გეტყვით.

**— კეთილი, მაშინ ის მაინც მითხარით, მათზე უარი თავად თქვით თუ კლუბის ხელმძღვანელობამ?**

— ეს მარტო ჩემი აზრი არ იყო. კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად გადავწყვიტეთ ეგ საკითხი. ასე რომ, ყველაფერი შეთანხმებული და კარგად გააზრებული იყო.

**— გუნდის უფროსი და თქვენი თანაშემწეები?**

— მაპატიეთ, ამ კითხვას უპასუხოდ დავტოვებ.

**— გაშვებული ფეხბურთელების შემცვლელებზე არ გიფიქრიათ?**

— რა თქმა უნდა, ამ საკითხზეც ვმუშაობდით. ორშაბათს ორ ფეხბურთელს ველი პერუდან.

**— მათი შემატება უკვე გადაწყვეტილია თუ...**

— არა, ჯერჯერობით ვარჯიშებზე დავაკვირდები. რამდენიმე ამხანაგურ მატჩშიც გავსინჯავ და თუ თავს მომაწონებენ, ცხადია, დავიტოვებ.

**— „ლოკომოტივში" ახლა უფრო ახალგაზრდული შემადგენლობა გყავთ, რა მიზანი აქვს გუნდს ამ სეზონში?**

— თავადაც აღნიშნეთ, რომ გუნდში უმეტესად ახალგაზრდები დარჩნენ და რა მიზანი გვექნება?

მე ძალიან მომწონს ახალგაზრდებთან მუშაობა და მინდა, მათთან ერთად წარმატებას მივაღწიო. თუმც ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვეტერანები არ მჭირდება. სეზონი გრძელია და გამოცდილი ფეხბურთელებიც გუნდისთვის აუცილებელია. მარტო ახალგაზრდებით ვერაფერს გავხდებით. ამიტომ ვცდილობ, ისინი კარგად შევათამაშო და შეკრული გუნდი მყავდეს. ჯერ ყველაფერი წინაა.

**— გავიგეთ, რომ „ლოკომოტივში" კახა გოგიჩაიშვილის დაბრუნებას აპირებთ...**

— ეს მეც გავიგე. ვხუმრობ. გოგიჩაიშვილის დამატებაც ნათლად ადასტურებს იმას, რაც ზემოთ ვთქვი. იმედი მაქვს, კახა მალე შემოგვიერთდება.

**კახა შალამბერიძე**



ბადრი ქეთილაძის ფოტო

კახა გოგიჩაიშვილი „ლოკომოტივს" არ ეთმობა



ლუის ცაკარიასი:
ორ პერუელს ველოდები

### გერმანია

II ბუნდესლიგა. X ტური

ბურგჰაუზენი 0:2 მაინცი
ალემანია 4:1 ლიუბეკი
კიოლნი 3:1 ვალდჰოფი

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა
XIV ტური

ოსნაბრიუკი 0:0 ესენი

სამხრეთ რეგიონალლიგა
XVI ტური

ზაარბრიუკენი 1:1 ჰოფენჰაიმი
დარმშტადტი 1:1 კიკერსი

### ინგლისი

მესამე დივიზიონი
XV ტური

საუთენდი 0:1 ჰარტლპული

### საფრანგეთი

პირველი დივიზიონი
XII ტური

ბორდო 2:2 მონაკო

### პორტუგალია

პირველი ლიგა
VIII ტური

ბელენენსეში 1:0 მორეირენსე

### ჰოლანდია

I დივიზიონი
IX ტური

ბრედა 0:0 ვიტესი

II დივიზიონი
IX ტური

ემენი 2:0 ეინდჰოვენი
ჰელმონდი 4:1 სიტარდი
ჰერაკლესი 2:1 ტელსტარი
ოსი 1:2 მაასტრიხტი
ვოლენდამი 2:0 დორდრეხტი
კამბური 2:1 დენ ჰააგი
ჰაარლემი 1:1 სპარტა
ვეენდამი 3:2 ვენლო

### პოლონეთი

XI ტური

ლეგია 1:0 ვისლა

### შვეიცარია

A ჯგუფი
XVII ტური

სერვეტი 0:1 ბაზელი

### თურქეთი

X ტური

ბეშიქთაში 3:0 მალათია



„მერანი" — „ტორპედოს" ინტრიგა არასდროს ქრება. ხვალ კი შესაძლოა, „მერანი" — „ტორპედო" არც გაიმართოს

# ითამაშებს მერანი? საკითხავი ისევ ეს არის

**კვირას** ავჭალაში „ტორპედო" ჩადის სათამაშოდ და ეგებ უშრომელ სამ ქულასაც გამოჰკრას ხელი.

„მერანში" ჯანყია, ნაოფლარ, ხელფასმიუღებელ, ლამის ულუკმაპუროდ დარჩენილ ფეხბურთელთა ჯანყი.

წინა ტურში მერანელები „გორდასთან" სათამაშოდ არ გავიდნენ. კლუბის ხელმძღვანელებმა ფეხბურთელებს დანაპირები ვერ შეუსრულეს და პროტესტის ამგვარმა ფორმამ ლამის შეიწირა „მერანი", მაგრამ ჩემპიონატიდან მოსაკვეთად გამზადებული გუნდი სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტმა შეიწყალა — ავჭალელებს მხოლოდ ტექნიკური წაგება აკმარა. იმ სხდომის შემდეგ „მერანის" მეკარემ რეზო ნაჭყეპიამ თქვა, პირველად ვიგრძენი, რომ ფეხბურთელი დაცული ყოფილა საქართველოშიო. მოკლედ, ოთხშაბათს „მერანი" კი გადაურჩა ფედერაციის რისხვას, მაგრამ „ტორპედოსთანაც" უთამაშებლობის შემთხვევაში უბოდიშოდ მოკვეთენ უმაღლესი ლიგიდან. საკითხავიც ის არის, რა მდგომარეობაა ქუთაისელებთან საკვირაო მატჩის წინ გუნდში.

გუშინ „მერანის" პრეზიდენტ **ანზორ მამალაძეს** დავუკავშირდით, რომელმაც რამდენიმე დღის წინ გვითხრა, სპონსორის მოძიების იმედად ვართ და მხოლოდ ამ გზით თუ შევინარჩუნებთ გუნდსო.

— კვირას ნაღდად ვითამაშებთ და „ტორპედოს" დიდ ბრძოლას გავუმართავთ.

**— სპონსორი გამოუჩნდა „მერანს"?**

— არა, ჯერჯერობით კვლავაც უსპონსოროდ ვართ, მაგრამ ამ მხრივ ვმუშაობთ და იმედი მაქვს, ყველაფერი სასიკეთოდ გადაწყდება.

**— თუ სპონსორი ვერ იშოვეთ, ეხე იგი, კვლავაც უფულოდ ხართ, როგორღა აპირებთ ფეხბურთელების დაყოლიებას „ტორპედოსთან" სათამაშოდ?**

— შაბათს ვარჯიშის შემდეგ მათ დაველაპარაკები და კვირას გუნდი სათამაშოდ გავა.

**— ისეთი რა უნდა უთხრათ, რომ გუნდის თანხმობა მიიღოთ. ფეხბურთელებმა ხომ მკვეთრად გამოხატეს თავიანთი პოზიცია „გორდასთან" უთამაშებლობით.**

— ბიჭებს დაველაპარაკები, მათ კონკრეტულ თარიღს დავუსახელებ, როდესაც ფულს მიიღებენ. ანზორ მამალაძეს თავისი ნათქვამისთვის არასდროს გადაუხვევია, ფეხბურთელებმა იციან ჩემი სიტყვის ფასი. ამიტომაც ვამბობ, რომ გუნდი კვირას ითამაშებს „ტორპედოს" წინააღმდეგ.

**— როდის აპირებთ გუნდის დავალიანების გასტუმრებას?**

— ამას შაბათს ვიტყვით.

ასეთი საუბარი გვქონდა გუშინ „მერანის" პრეზიდენტთან. მკითხველისთვის ალბათ, ფეხბურთელთა პოზიციის გაგებაც არ უნდა იყოს უინტერესო. ამიტომ გუშინ **რეზო ნაჭყეპიასაც** დავუკავშირდით.

— ალბათ, „ტორპედოსთან" ვითამაშებთ. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ ფეხბურთელებმა პოზიცია შევიცვალეთ. უბრალოდ, მამალაძემ იცის ამ პრობლემისადმი ჩვენი დამოკიდებულება და ჰაერზე არაფერს იტყოდა, ჩვენი პრეზიდენტის სიტყვებში ეჭვს ვერაფრით შევიტან. იგი პირიანი კაცია და ამიტომაც მაქვს იმედი, რომ დავალიანების გასასტუმრებლად ყველასთვის მისაღებ რიცხვს დაასახელებს. ჩვენ, ფეხბურთელები, მიუხედავად იმისა, რომ გვიჭირს, ცოტას კიდევ მოვითმენთ, მაგრამ ეს ცოტა მაქსიმუმ ორ კვირას ნიშნავს. ამიტომ მამალაძემ ისეთი დღე უნდა დაასახელოს დანაპირების შესასრულებლად, 10 ნოემბერს არ გასცდეს, თორემ სხვა შემთხვევაში მის სიტყვას მნიშვნელობა აღარ ექნება. ჩვენი პოზიცია ასეთია და ეს მამალაძემ კარგად იცის. ამიტომ ყველას იმედი გვაქვს, რომ ტყუილუბრალოდ არ დაგვიბარებს შაბათს პრეზიდენტი — გვითხრა ნაჭყეპიამ.

მეკარის აზრს მთელი გუნდი იზიარებს, „მერანს" ერთსულოვნება მოედანზე არ აკლდა და ასეა მოედნის გარეთაც. ფეხბურთელების და ხელმძღვანელების შეხვედრა დღეს შედგება „სინათლეზე" გუნდის ვარჯიშის შემდეგ და ჩვენც იმედი დავიტოვოთ, რომ დღევანდელი ვარჯიში ფუჭი არ გამოდგება ავჭალელთათვის.

**ბაადა ძვანტალიანი**

საქართველოს 14 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
პირველი ეტაპი
13 ტური
ანონსი

ზუგდიდი. დავით ყიფიანი. 27 ოქტომბერი. 16 საათი

## მილანი — ვიტ ჯორჯია

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი); ი. შალამბერიძე (აბაშა), გ. ჩოგოგიძე (სამტრედია); ზ. ანიაშვილი (გორი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

გორი. ცენტრალური. 27 ოქტომბერი. 16 საათი

## დილა — სიონი

მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი; ჯ. გაბრიაძე (ორივე ქუთაისი), მ. ელიკაშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

ბათუმი. ცენტრალური. 27 ოქტომბერი. 16 საათი

## ბათუმი — გორდა

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); მ. ჟრუშაძე, ჯ. თბილელი (ორივე თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ო. რუხაძე

თბილისი. სინათლე. 27 ოქტომბერი. 16 საათი

## მერანი — ტორპედო

მსაჯები: მ. მაღალურაძე; ლ. სილაგავა (ორივე თბილისი), ლ. მიქელაძე (სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ვ. ბარქაია

ფოთი. ფაზისი. 28 ოქტომბერი. 16 საათი

## კოლხეთი — დინამო

მსაჯები: ა. შალამბერიძე; ნ. რუსიშვილი (ორივე ქუთაისი), ზ. ჯვარიძე (თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ი. მჭედლიშვილი

თიანეთი. ცენტრალური. 28 ოქტომბერი. 16 საათი

## მეტალურგი — ლოკომოტივი

მსაჯები: ჯ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ლ. ფანიაშვილი (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ძამუკაშვილი

ფეხბურთის



**გერმანიის** ჩემპიონის, დორტმუნდის „ბორუსიას" ჩეხი გამთამაშებელი, 22 წლის ტომაშ როსიცკი აცხადებს, რომ მას თავის დროზე მიუნხენის „ბაიერნიც" ეპატიჟებოდა, მაგრამ უარით გაისტუმრა: „მე არასდროს გადავალ „ბაიერნში", რა მინდა იქ? თავს დორტმუნდშიც კარგად ვგრძნობ. მეტსაც გეტყვით, ბუნდესლიგის ვერც ერთ კლუბში ვერ მიხილავთ, „ბორუსიას" გარდა."

**რუსეთის** პროკურატურამ 9 ივნისს, მსოფლიოს ჩემპიონატზე იაპონია — რუსეთის მატჩის დამთავრების შემდეგ მოსკოვის „მანეჟნი" მოედანზე დატრიალებული ამბების გამოძიება დაამთავრა და საქმე სასამართლოს გადასცა. შეგახსენებთ, რომ საყვარელი გუნდის მარცხის შემდეგ აბობოქრებულმა გულშემატკივრებმა იქაურობა დაარბიეს. არეულობამ ერთი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა.

**ინგლისური** პრემიერლიგის კლუბის „ვესტ ბრომვიჩ ალბიონის" ხელმძღვანელობა კმაყოფილებით იუწყება კლუბის შემოსავლის ზრდას. თუ წინა წელს კლუბის სალაროში 8,5 მილიონი გირვანქა იყო, ახლა თანხა 14,3 მილიონამდე გაიზარდა. გასაკვირი არცაა — „ვესტ ბრომვიჩი" ხომ პირველი დივიზიონიდან პრემიერლიგაში ალზევდა.

**რუსეთის** ჩემპიონატში „ლოკომოტივი" — „ზენიტის" მატჩი 10-ის ნაცვლად 9 ნოემბერს გაიმართება. რაკი „ლოკომოტივს" „ბრიუგესთან" ჩემპიონთა ლიგის ბოლო ტურის მატჩი 13 ნოემბერს უწევს, დასვენებისთვის მეტი დრო რომ ჰქონოდათ მოსკოველებმა ერთი დღით ადრე ითხოვეს თამაში. ასევე 9 ნოემბერს გაიმართება რუსეთის ჩემპიონატის ერთ-ერთი მთავარი მატჩი ცსკა — „სპარტაკი".

**ხორვატიის** ახალგაზრდული ნაკრების წევრი, იმედისმომცემი ფეხბურთელი დანიელ პოპოვიჩი ავტოავარიაში დაიღუპა. „ოსიეკის" ფეხბურთელმა საჭე ვერ დაიმორჩილა, მაღალი ძაბვის ბოძს დაეჯახა და ადგილზევე გარდაიცვალა. მისი მეგობარი მილან კალოშევიჩი, რომელიც მანქანაში იმყოფებოდა, საავადმყოფოში მოათავსეს. მისი მდგომარეობა მძიმეა. 21 წლის პოპოვიჩს კი მომავალი სეზონიდან კარიერა ფრანგულ „ბასტიაში" უნდა გაეგრძელებინა.

**ინგლისური** „მიდლსბრო" იტალიელი დინო ბაჯოს გადაბირებას ცდილობს, მაგრამ ფეხბურთელის ამჟამინდელ კლუბ „ლაციოს" თანხაზე ვერ უთანხმდება. შეგახსენებთ, რომ იტალიელის გადაბირებას „ჩელსიც" ლამობდა, ფეხბურთელიც თანახმა იყო, თუმც მაშინაც კლუბები ფასზე ვერ შეთანხმდნენ.

**რუსულ** „სპარტაკს" ჩეხური „სპარტას" ცენტრალური მცველის ტომაშ გიუბშმანის ყიდვა სურს. 21 წლი მცველმა ჩეხეთის ეროვნულ გუნდში შვიდი მატჩი ჩაატარა და ჩეხეთის ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი იყო, რომელმაც შარშან ზაფხულს არგენტინაში მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშა.

**ინგლისურ** „დერბი ქაუნთის" ფინანსური კრიზისი მისძალებია. ამ გარემოებას კლუბის ახლა ტრავმირებული ლეგიონერი ფაბრიციო რავანელი დიდად შეუშფოთებია და კლუბის ყველა წევრს მოუწოდებს, ერთად შეიკრიბონ და გამოსავალი მოძებნონ. „კლუბს მძიმე დღეები უდგას. პრობლემა რაც შეიძლება, მალე უნდა მოგვარდეს" — თქვა იტალიელმა, რომელსაც აგვისტოს შემდეგ აქილევსის მყესი არ აძლევს თამაშის საშუალებას.

**რუსეთში** ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, „ზენიტი" კი უკვე მომავალი სეზონისთვის ემზადება. პეტერბურგელების მთავარი აქციონერი ბანკი „სანკტ პეტერბურგი" გახდება და მისი შემწეობით კლუბის ბიუჯეტი 18-20 მილიონ დოლარამდე გაიზრდება.

**გერმანულმა** ბანკებმა კრიზისში მყოფ „კაიზერსლაუტერნს" 20- მილიონიანი კრედიტი მისცეს. ეს თანხა „წითელ ეშმაკებს" ვალის გასასტუმრებლად და 2006 წლის მუნდიალისთვის „ფრიც ვალტერ შტადიონის" რეკონსტრუქციისთვის ეყოფათ.

24 საათი თქვენს განკარგულებაში
ავტოტრანსპორტით, თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობითა და იარაღით
დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური
შპს «დარაკა»
- პერსონალური დაცვა, საქართველოსა და საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა სფეროში დასაქმებული მოქალაქეებისთვის.
- დაცვითი ღონისძიებების უზრუნველყოფა.
- საოფისე, ადმინისტრაციული შენობების, საცხოვრებელი სახლების, წარმომადგენლობებისა და ორგანიზაციების დაცვა.
- იურიდიული კონსულტაცია.
- საადვოკატო მომსახურება.
- სასამართლო წარმომადგენლობა.
- აუდიტი.

ჩვენ ვიცავთ კანონს!
კანონის უზენაესობა უპირობოა!

მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, სართული 5.
ტელ: (99532) 394003, ტელ/ფაქსი: (99532) 225186

# იტალია

პაპუნა კადია

## ღირსების საქმე

### ფაბიო კაპელოს ასეთი არაფერი უნახავს

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| კიევო | - | მილანი |
| იუვენტუსი | - | უდინეზე |
| **ხვალ** | | |
| ბრეშა | - | კომო |
| ინტერი | - | ბოლონია |
| ლაციო | - | რომა |
| პარმა | - | ატალანტა |
| პერუჯა | - | მოდენა |
| პიაჩენცა | - | ემპოლი |
| რეჯინა | - | ტორინო |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 1 | 0 | 17:2 | 13 |
| ინტერი | 5 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 |
| ბოლონია | 5 | 3 | 2 | 0 | 8:3 | 11 |
| ლაციო | 5 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 10 |
| იუვენტუსი | 5 | 2 | 3 | 0 | 9:4 | 9 |
| რომა | 5 | 3 | 0 | 2 | 12:8 | 9 |
| მოდენა | 5 | 3 | 0 | 2 | 6:8 | 9 |
| ემპოლი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 |
| პიაჩენცა | 5 | 2 | 1 | 2 | 6:7 | 7 |
| უდინეზე | 5 | 2 | 1 | 2 | 4:7 | 7 |
| პარმა | 5 | 1 | 3 | 1 | 8:7 | 6 |
| კიევო | 5 | 2 | 0 | 3 | 7:7 | 6 |
| ბრეშა | 5 | 1 | 1 | 3 | 7:11 | 4 |
| პერუჯა | 5 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| კომო | 5 | 0 | 3 | 2 | 3:7 | 3 |
| ტორინო | 5 | 1 | 0 | 4 | 2:10 | 3 |
| რეჯინა | 5 | 0 | 2 | 3 | 4:8 | 2 |
| ატალანტა | 5 | 0 | 1 | 4 | 3:11 | 1 |

**ხვალ** რომაული დერბია, ანუ „ლაციოს" წინა სეზონში ნაწვნევი, შეურაცხმყოფელი 1:5-ისთვის „რომაზე" შურისძიების საშუალება ეძლევა. მერე და, ხომ ამბობენ, ახალი მწვრთნელის, რობერტო მანჩინის ხელმძღვანელობით „ლაციომ" წინ დიდი ნაბიჯი გადადგაო...

მართლაც ბევრმა წყალმა ჩაიარა მას მერე, რაც მარტში, რომაელმა ვინჩენცო მონტელამ ერთბაშად ოთხი გოლი გაუტანა ლაციოელებს. მას მერე, ალბერტო ძაკერონი მანჩინიმ შეცვალა, ხოლო იმ მარცხის მთავარი დამნაშავე, მაშინდელი კაპიტანი ალესანდრო ნესტა და თავდამსხმელი ერნან კრესპო გუნდიდან წავიდნენ.

ამ სეზონში, ბოლო ოთხ შეხვედრაში, მანჩინიმ და მისმა ბიჭებმა მათი ძლევის საშუალება არავის მისცეს, თანაც, ბოლო ტურში, ერთობ შთამბეჭდავად დაამარცხეს „პერუჯა" — 3:0. აღსანიშნავია, რომ ამ სამი გოლიდან ორი, მუხლის მძიმე ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა ენრიკო კიეზამ შეაგდო — როგორი დაბრუნებაა?!

აი, „რომას" კი დიდი ალზევება-ჩავარდნა შენიშნება. მართალია, იტალიის პირველობაზე მოულოდნელად ალმაფრენით ითამაშეს, მაგრამ, შემდეგ, ჩემპიონთა ლიგაში, ბელგიურ „გენკთან" უსახურ 0:0-ზე უკეთესი ვერაფერი მოახერხეს.

მეორე მხრივ, იქნებ ყველაფერი იმის ბრალია, რომ „გენკთან" ფაბიო კაპელოს გუნდისთვის ასე მნიშვნელოვანმა ფრანჩესკო ტოტიმ ვერ ითამაშა? კვირას კი იგი მოედანზე იქნება.

კაპელოს ხანგრძლივი სამწვრთნელო კარიერის მანძილზე, მოგეხსენებათ, „მილანშიც" უმუშავია და „რეალშიც", ასე რომ „რომათი" და რომაული დერბით თითქოს ვერ გააკვირვებ, მაგრამ, დახეთ, რას ამბობს: „რომაული დერბის მსგავსი არაფერი მინახავს. აქ დიდი ვნებაა, ზეწოლაა, სულ მცირე რამ შეიძლება შეურაცხყოფად იქცეს და ძალიან ბევრი რამ ღირსების საკითხად აღიქმება."

კაპელო სავარაუდოდ, ტოტისაც ათამაშებს, მონტელასაც და ბატისტუტასაც.

მანჩინის კი მარცხენა მცველი ჯუზეპე პანკარო აკლია, თუმცა არგენტინელი ნახევარმცველი დიეგო სიმეონე უბრუნდება და ეს ახარებს.

ერთი სიტყვით, ამ ტურში „რომასა" და „ლაციოს" დაპირისპირება ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ტური ტურია და ამ უქმეებზე იტალიაში სხვა შეხვედრებიც გაიმართება. მაგალითად, „კიევო" „მილანს" მასპინძლობს.

მოგეხსენებათ, ამ სეზონში „მილანი" საოცარ ფორმაშია, რაც ამ კვირის შუაში, ჩემპიონთა ლიგაში, „ბაიერნის" ძლევითაც დადასტურდა. თან, არ არის გამორიცხული, კარლო ანჩელოტის ვერონაში მცირედ დაშავებული რივალდოც შეუერთდეს. მოგეხსენებათ, ბრაზილიელმა სერია A-ში პირველი გოლი წინა ტურში, „ატალანტას" გაუტანა.

„კიევომ" კი ვერა და ვერ მიაღწია გასული სეზონის სტანდარტს, თუმც გერმანელი ოლივერ ბირჰოფი იქნებ თავის ყოფილ გუნდთან თამაშის ფაქტმა გაალიზიანოს.

„ინტერმა" ბოლო ორ შეხვედრაში იბრძოლა, იბრძოლა და ორ ფრეს გამორჩა. ერთს „იუვენტუსთან" (1:1), მეორეს კი „ლიონთან" ჩემპიონთა თასზე (3:3) და ამან ეჭვი გააჩინა, რომ მილანელ „შავ-ლურჯებს" მოგების წყურვილი დაუცხრათ. „ბოლონიასთან" შინ შეხვედრის წინ დისკვალიფიცირებულნი არიან დომენიკო მორფეო და ლუიჯი დი ბიაჯო. აღსანიშნავია, რომ ბოლონიელებმა ამ სეზონში სტუმრად გამართული ორივე შეხვედრა ფრედ დაამთავრეს.

„ტორინოში" სიახლეა — კლუბმა მწვრთნელი, ჯანკარლო კამოლეზე გაათავისუფლა, რის შესახებაც თავის საინტერნეტო ვებ-გვერდზე მშრალად განაცხადა. კამოლეზე ახალგაზრდული გუნდის თავკაცმა რენატო ძაკარელიმ შეცვალა, ოღონდ, ერთი თამაშით, „რეჯინასთან" ხვალ სტუმრად რომ უნდა გამართოს.

ჩემპიონმა „იუვენტუსმა" სეზონი რიხიანად კი დაიწყო, მაგრამ შემდეგ რაღაც შენელდა — ბოლო სამ შეხვედრაში ფრედ ითამაშა. ახლა, „ბებერი ქალბატონი", ალესანდრო დელ პიეროსა და დავიდ ტრეზეგეს გარეშე ეთამაშება „უდინეზეს". მწვრთნელი მარჩელო ლიპი თავდასხმაში, ალბათ, მარსელო სალასსა და მარკო დი ვაიოს ათამაშებს. ხოლო „უდინეზე", ზოგადად, გერმანელი ფორვარდის, კარსტენ იანკერის იმედადაა, მაგრამ ამ შეხვედრას გრიპიანი გერმანელი გამოტოვებს.



„ლაციო" ფრთხილად უნდა იყოს, „რომას" ფრანჩესკო ტოტი დაუბრუნდა

# ინგლისი

კახა გოლამბერიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჯეიმი რედნაპი (შუაში) ძველ თანაგუნდელებს, მაიკლ ოუენსა და სტეფან ანშოს დაუპირისპირდება

## ცულს მოვიტან ცუნცულასა

### ულიემ მამლებს კისერი მოუნიშნა

| XI ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | — | ბლეკბერნი |
| ბირმინგემი | — | მანჩესტერ სიტი |
| ჩელსი | — | ვესტ ბრომვიჩი |
| ლივერპული | — | ტოტენჰემი |
| მანჩესტერი | — | ასტონ ვილა |
| მიდლსბრო | — | ლიდსი |
| ნიუკასლი | — | ჩარლტონი |
| **ხვალ** | | |
| საუთჰემპტონი | — | ფულემი |
| ვესტ ჰემი | — | ევერტონი |
| **ზეგ** | | |
| ბოლტონი | — | სანდერლენდი |

**საღლეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 10 | 7 | 3 | 0 | 20:8 | 24 |
| არსენალი | 10 | 7 | 2 | 1 | 25:11 | 23 |
| ტოტენჰემი | 10 | 6 | 1 | 3 | 16:14 | 19 |
| მანჩესტერი | 10 | 5 | 3 | 2 | 13:7 | 18 |
| მიდლსბრო | 10 | 5 | 2 | 3 | 13:6 | 17 |
| ჩელსი | 10 | 4 | 4 | 2 | 18:12 | 16 |
| ბლექბერნი | 10 | 4 | 3 | 3 | 16:12 | 15 |
| ფულემი | 10 | 4 | 3 | 3 | 14:10 | 15 |
| ევერტონი | 10 | 4 | 2 | 4 | 13:15 | 14 |
| ლიდსი | 10 | 4 | 1 | 5 | 11:10 | 13 |
| ნიუკასლი | 9 | 4 | 1 | 4 | 14:14 | 13 |
| საუთჰემპტონი | 10 | 3 | 4 | 3 | 7:8 | 13 |
| ბირმინგემი | 10 | 3 | 3 | 4 | 11:12 | 12 |
| ვესტ ჰემი | 10 | 3 | 2 | 5 | 10:16 | 11 |
| ასტონ ვილა | 10 | 3 | 1 | 6 | 6:10 | 10 |
| ჩარლტონი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:14 | 10 |
| ვესტ ბრომვიჩი | 10 | 3 | 1 | 6 | 8:16 | 10 |
| სიტი | 10 | 2 | 2 | 6 | 7:17 | 8 |
| სანდერლენდი | 10 | 2 | 2 | 6 | 4:14 | 8 |
| ბოლტონი | 9 | 2 | 1 | 6 | 9:17 | 7 |

**მეთერთმეტე** ტურის მთავარი მატჩი ლივერპულში, „ენფილდზე" ჩატარდება ამ სეზონში ჯერაც დაუმარცხებელი „ლივერპული" მესამეადგილოსან „ტოტენჰემს" უმასპინძლებს.

ჟერარ ულიეს გუნდი, უხასიათობას ისედაც რომ არ უჩიოდა, ჩემპიონთა ლიგაში მოსკოვის „სპარტაკის" 3:1 ძლევამ კიდევ უფრო გაალაღა. ახლა კი ფრანგის გაწვრთნილები „ღეზებიანი მამლების" კისრებზე აპირებენ ცულის დაკვრას.

ჟერარ ულიეს ჯერაც არ გადაუწყვეტია, ათამაშებს თუ არა ფეხმტკივან ემილ ჰესკის. ასევე, საეჭვოა სტივენ ჯერარდის გამოჩენაც სამაგიეროდ, ფორმაშია ოქროს ბიჭუნა მაიკლ ოუენი, რომელმაც რუსები მოსკოვში სამი გოლით დაატერორა.

ორიოდ სიტყვა „ტოტენჰემზეც" ვთქვათ, მით უმეტეს, გლენ ჰოდლის შეგირდები მიმდინარე სეზონში ურიგოდ არ გამოიყურებიან. სტუმართა მთავარი იმედი რობი კინია, რომელმაც ბოლო ტურში დუბლით ისახელა თავი. „ენფილდზე" კი შესაძლოა, ერთ დროს „ლივერპულის" კაპიტანი და ლიდერი ჯეიმი რედნაპიც გამოჩნდეს.

„მეთოფეები" „ლივერპულს" ფეხდაფეხ კი მისდევენ, მაგრამ თავადაც გვარიანი ბრძოლა ელით კერკეტ „ბლექბერნთან". თანაც ბოლო ხანს ლონდონელ სნაიპერებს მიზანი გაუმრუდდათ და ზედიზედ ორ მატჩში დატოვეს ბრძოლის ველი თავჩახრილებმა — შეგახსენებთ, ჯერ „ევერტონმა" სძლია, მერე „ოსერთანაც" შერცხვნენ.

„არსენალში" ისევ არ იქნება დენის ბერხკამპი. სამაგიეროდ, შესაძლოა, არსენ ვენგერმა ტრავმამოშუშებული რობერ პირესი ათამაშოს სასტარტო შემადგენლობაში, თუმც აქვე დავძენთ, რომ ეს ნაკლებად სავარაუდოა. „ბლექბერნი" კი ენდი კოულის გამოჯანმრთელებას ხარობს. გრემ სუნესის გუნდი „ჰაიბერიზე" არაფრის დათმობას არ აპირებს, მაგრამ ერთი სერიოზული დანაკლისით მაინც ხვდება ამ მატჩს — ირლანდიელ დემიენ დაფს ტრავმა აწუხებს.

საინტერესო უნდა გამოდგეს „მიდლსბრო" — „ლიდსის" ჯახიც. ამბიციური მასპინძლები უფრო მეტად ამბიციურ, მაგრამ ნირწამხდარ „ლიდსს" უპირებენ ბეჭებზე გაკვრას. ტერი ვენეიბლზის გუნდს ბოლო ხუთი ტურია არ უმარჯვია და მეათე ადგილამდე დაქვეითდა. სტუმართაგან ტრავმა არავის აწუხებს, პირიქით, თავდამსხმელი რობი ფაულერი საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და ვგებ მწვრთნელმა მატჩის განაცხადშიც შეიყვანოს.

მუდამ მწვერვალისკენ შემართული „მანჩესტერ იუნაიტედი" კი წყალწაღებულ „ასტონ ვილას" დაუხვდება და, ალბათ, ზედმეტი ნერვიულობის გარეშეც დაამარცხებს.

მანჩესტერელებს რუუდ ვან ნისტელროი და რიო ფერდინანდი დაუბრუნდებიან, რომლებმაც ბერძნულ „ოლიმპიაკოსთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩი ტრავმების გამო გამოტოვეს, ახლა კი ჯანზე არიან ახლო ნიკი ბათის თამაში საეჭვოა.

„ასტონ ვილას" საქმე კი გაცილებით რთულადაა. ბირმინგემელები სახიფათო ზონასთან ახლოს ტრიალებენ და მათი თამაშის ხარისხიც არ იძლევა უკეთესობის იმედს. წინა ტურში კი გულშემატკივრებმა ობსტრუქცია მოუწყვეს მენეჯერ გრემ ტეილორს, რომელმაც მშვიდად განაცხადა, არსად წასვლას არ ვაპირებო.

სხვა მატჩთაგან გამორჩეული არც ერთია. ზოგან აუტსაიდერები გაურჩევენ ერთმანეთს საქმეს, ზოგან კი შედარებით ძლიერი შედარებით სუსტის დაჩაგვრას შეეცდება, ვიღაცას გაუხარდება, ვიღაცას გული დაწყდება და მეთერთმეტე ტურიც ჩაიხინდება. ასე ცხოვრობს პრემიერლიგა

## გერმანია

დავით თავართქილაძე

# რატომ არ აიყვანს დედა შვილს და რატომ არ უყვართ მუსიკა პრუსიელებს

| X ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| ჰერტა | — | ლევერკუზენი |
| ბაიერნი | — | ჰანოვერი |
| ვერდერი | — | დორტმუნდი |
| არმინია | — | ჰამბურგი |
| გლადბახი | — | მიუნხენ 1860 |
| შალკე | — | ნიურნბერგი |
| შტუტგარტი | — | კოტბუსი |
| **ხვალ** | | |
| ვოლფსბურგი | — | ჰანზა |
| ლაუტერნი | — | ბოხუმი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბაიერნი | 9 | 7 | 1 | 1 | 23:8 | 22 |
| დორტმუნდი | 9 | 4 | 5 | 0 | 12:5 | 17 |
| ვერდერი | 9 | 5 | 2 | 2 | 18:15 | 17 |
| ჰერტა | 9 | 4 | 3 | 2 | 11:7 | 15 |
| შალკე | 9 | 4 | 3 | 2 | 12:9 | 15 |
| ბოხუმი | 9 | 4 | 2 | 3 | 20:16 | 14 |
| მიუნხენი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:12 | 14 |
| შტუტგარტი | 9 | 3 | 4 | 2 | 16:12 | 13 |
| ჰანზა | 9 | 4 | 1 | 4 | 11:7 | 13 |
| ვოლფსბურგი | 9 | 4 | 1 | 4 | 10:11 | 13 |
| ჰამბურგი | 9 | 4 | 0 | 5 | 10:15 | 12 |
| გლადბახი | 9 | 3 | 2 | 4 | 10:7 | 11 |
| ლევერკუზენი | 9 | 3 | 2 | 4 | 13:16 | 11 |
| არმინია | 9 | 3 | 2 | 4 | 9:15 | 11 |
| ნიურნბერგი | 9 | 3 | 0 | 6 | 11:16 | 9 |
| ჰანოვერი | 9 | 2 | 2 | 5 | 15:22 | 8 |
| ლაუტერნი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:12 | 6 |
| კოტბუსი | 9 | 1 | 1 | 7 | 5:22 | 4 |

**თომას შააფი** ის კაცია, თბილისის „დინამოს" უეფას თასის მეოთხედფინალისკენ რომ მოუჭრა გზა 1987 წელს — მან თავურით გაუტანა ოთარ გაბელიას თბილისში და „ვერდერიც" ფრეთი, 1:1 დაბრუნდა ბრემენში.

ახლა კი შააფი „ვერდერის" მწვრთნელია და მისი გაწვრთნილი მშობლიური გუნდი საამსეზონოდ ერთობ კარგადაც მიჰქრის ბუნდესლიგურ რბოლაში.

ტურის ცენტრალური მატჩიც ბრემენშია და შააფის თბილისური შამანობაც ამიტომ გაგვახსენდა — „დორტმუნდს" ამ ბუნდესლიგაში ჯერაც არ წაუგია და ვინძლო მეათე ცდაზე ამოყირავდეს.

მათიას ზამერის გუნდმა წინა ტურში შინ „არმინიასთან" ვერ ივარგა (0:0), ხოლო „ვერდერმა" უხვგოლიან ფრეს გამოჰკრა ხელი ჰანოვერში (4:4).

ბრემენელთა გამწევი ძალა გუნდური სულია, თორემ სახელდაგდებული მოთამაშეები „მუსიკოსებს" როდი ჰყავთ. თუმც ვერლაატი, ბაუმანი, სკრიპნიკი, მიკუ და აილტონი — მათი სახელები და გამოცდილება ცოტასაც არ ნიშნავს. ბრაზილიელმა აილტონმა კი სულაც შვიდი გოლი შეაგდო ცხრა ბუნდესლიგურ თამაშში.

ეგაა, „ვერდერს" ტორსტენ ფრინგსი აღარ ჰყავს, რომელიც დორტმუნდელებმა აცდუნეს და საამსეზონოდ თავისას გადაიბირეს. ბრემენელებმა კი 6 მილიონი ევროთი მოითბეს ხელი — ფრინგსი მუნდიალზე გერმანელთა მარჯვენა ფლანგის უსტაბაში გახლდათ, დღეს კი პირველად დაუპირისპირდება „ვერდერს" და ისიც ბრემენში.

და კიდევ. ბოლო ექვსი ბრემენული მატჩიდან პრუსიელებმა მხოლოდ ორი მოიგეს.

ლიდერი „ბაიერნი" ოლივერ კანის გარეშე კი დარჩა, მაგრამ „ჰანოვერს" შტეფან ვესელსითაც უნდა ეყოს. სტუმრებს მრავალნაცადი მეგოლე ფრედი ბობიჩის ეიმედებათ — პრემიერლიგიდან სამშობლოში დაბრუნებულმა შემტევმა უკვე ექვსი გოლი მიითვალა მიმდინარე ჩემპიონატში.

საინტერესო უნდა გამოდგეს „ჰერტასა" და „ლევერკუზენის" შებმა. დედაქალაქელებს ყველანი ჯანზე ჰყავს, კლაუს ტოპმიოლერს კი კარგა ხნით ადრე დაშავებული იენს ნოვოტნის გარდა საქმო არავინ ჰყავს, ოღონდ ხორვატ მცველ ბორის ჟივკოვიჩს დისკვალიფიკაციის გამო მოისაკლისებს.

ლიდერთა მდევარია „შალკეც", რომელსაც იორგ ბიომე გამოუჯანმრთელდა და დღეს ეგებ ითამაშოს კიდეც. სამაგიეროდ, საეჭვოა გრიპშეყრილი დანიელი შემტევის ებე სანდის მოედანზე გასვლა.

„ხუმარათა" მეტოქეს კი სულაც არ ულხინს — „ნიურნბერგს" სამი ტრავმირებული არ ეყოლება და საერთოდაც, 1993 წლის აქეთ „შალკესთვის" არ მოუგია.

სტატისტიკურად თუ მივუდგებით საქმეს, მაშინ „ვოლფსბურგმაც" უნდა მოუგოს „ჰანზას" — როსტოკელებს ვოლფსბურგში არასდროს მოუგიათ, ბოლო სამი სეზონის სულ აგებენ იქ, ხოლო წინა ბუნდესლიგაში სულაც 0:4 იწვნიის ვოლფსბურგელებისგან.

შინ ჯერაც არ წაუგია „შტუტგარტს" ამ სეზონში და რაღა ბოლოადგილოსან „კოტბუსთან" უნდა დამარცხდეს?! მაგრამ ბუნდესლიგამ ხომ ესეთებიც იცის და უარესებიც.

აი, „ფრიც ვალტერ შტადიონზე" კი დედა შვილს არ აიყვანს. მართალია, „კაიზერსლაუტერნი" წინა ტურში დამარცხდა „ლევერკუზენთან", მაგრამ ლოგიკითა და თამაშის მსვლელობის მიხედვით, არ უნდა წაეგო. მეტიც, „ლაუტერნმა" უფრო მხნედ და ფხიანად ითამა, მაგრამ ტრადიციულად უცნაური გუნდია და წააგო.

ერიკ გერეტსის მეტოქე გუნდი პეტერ ნოირბურერის „ბოხუმია", რომელიც მძლავრი სტარტით კი გამოირჩა, მაგრამ მერე ზედიზედ ხუთი მატჩი ვერ მოიგო და ნავსი წინა ტურში გატეხა „ვოლფსბურგზე" გამარჯვებით.

ერთი სიტყვით, ფავორიტი „ლაუტერნია", მაგრამ „ბოხუმი" დიდი მზაკვარი გუნდია. თანაც მასპინძლებს ადრე დაშავებული რამდენიმე ფეხბურთელის გარდა სლოვენიელი მცველი ალექსანდრ კნავსიც გამოაკლდათ.




ტორსტენ ფრინგსი (შუაში) დღეს ბრემენში ბრუნდება

## ესპანეთი

გიორგი დარჯანია

# ბარსელონელები მოდიან, ბარსელონა დახვდება

| VII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| სელტა | — | ატლეტიკო |
| ვალენსია | — | ბილბაო |
| უელვა | — | ბეტისი |
| ბარსელონა | — | ალავესი |
| რეალი | — | ვილიარეალი |
| რაიო ვალეკანო | — | დეპორტივო |
| **ხვალ** | | |
| მალიორკა | — | ოსასუნა |
| სევილია | — | ვალიადოლიდი |
| მალაგა | — | ესპანიოლი |
| სოსიედადი | — | რასინგი |

**სადღეისო ვითარება**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სოსიედადი | 6 | 4 | 2 | 0 | 17:11 | 14 |
| სელტა | 6 | 4 | 1 | 1 | 10:4 | 13 |
| მალაგა | 6 | 3 | 3 | 0 | 13:9 | 12 |
| ვალენსია | 6 | 3 | 2 | 1 | 11:4 | 11 |
| რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 13:7 | 11 |
| რასინგი | 6 | 3 | 1 | 2 | 7:5 | 10 |
| ვალიადოლიდი | 6 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| ბეტისი | 6 | 2 | 3 | 1 | 12:8 | 9 |
| დეპორტივო | 6 | 3 | 0 | 3 | 9:11 | 9 |
| მალიორკა | 6 | 3 | 0 | 3 | 6:9 | 9 |
| ბარსელონა | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| რაიო | 6 | 2 | 2 | 2 | 9:10 | 8 |
| ატლეტიკო | 6 | 1 | 4 | 1 | 10:8 | 7 |
| ვილიარეალი | 6 | 1 | 3 | 2 | 8:8 | 6 |
| ოსასუნა | 6 | 1 | 2 | 3 | 10:14 | 5 |
| ალავესი | 6 | 1 | 2 | 3 | 8:12 | 5 |
| ბილბაო | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | 5 |
| სევილია | 6 | 0 | 4 | 2 | 4:6 | 4 |
| ესპანიოლი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:9 | 4 |
| უელვა | 6 | 0 | 1 | 5 | 4:14 | 1 |

**„ბარსელონამ"** ჩემპიონთა ლიგაში საქმე ჯერჯერობით მოითავა, უკვე მეორე ეტაპზეა, აი, პრიმერადივიზიონში სადაცაა, ასეთი სახელის გუნდი იქ არ უნდა იყოს. ცხრილში მის ძებნას თუ გადაწყვეტთ, სჯობს ბოლოდან დაიწყოთ, უფრო მალე მიაგნებით.

კატალონიური გრანდი, რომელსაც სამი სეზონია აღარაფერი მოუგია, ამ ტურში „ალავესს" მასპინძლობს. „ბარსამ" ბოლო სამ ტურში ოდენ ერთი ქულა აიღო, ბასკებმა კი წინა უქმეებზე ფრე გააზერხეს ლიდერ „სოსიედადთან" და პენალტი რომ არ გაეფუჭებინათ, სამ ქულასაც გამორჩებოდნენ, რაც „ბარსელონასთან" გათანაბრების საშუალებას მისცემდათ.

მოგეხსენებათ, რომ ქომაგთა საამებელი შემტევი, ინდივიდუალიზმით გაჟღენთილი ფეხბურთის ნაცვლად, ლუის ვან გაალი გუნდს უმკაცრეს სქემებში მოქცეულ ფეხბურთს ათამაშებს, რაც კიდევ ერთი საბაბია გულშემატკივართა გულის წყრომისა. ამას ერთვება ხუან რომან რიკელმეს სასტარტო შემადგენლობაში ყოლის მოთხოვნა, რაც ჯიუტად არ სურს ჰოლანდიელს. „ლოკომოტივთან" სალიგო შეხვედრაში არგენტინელი ოდენ ლუის ენრიკეს ტრავმის გამო მოხვდა შემადგენლობაში. არადა, რიკელმემ საგოლე პასი გააკეთა.

რაკი ლუის ენრიკე კვლავაც მკურნალობს, ვან გაალი იძულებულია, „ალავესთან" ხავიერ სავიოლასა და პატრიკ კლუივერტის პასებით მომარაგება ისევ რიკელმეს დაავალოს.

„ბარსელონას" დარად „ალავესსაც" ერთი ქულა აქვს ბოლო სამ მატჩში, მის შემადგენლობაში კი არიან ხორდი კრუიფი, აბელარდო და რიშარ დუტრუელი — ძველი ბარსელონელები, რაც მატჩს დამატებით ხიბლს შეჰმატებს.

„სოსიედადი" „რასინგს" მასპინძლობს. ჩვეულებრივ, ანონსში ამათი შეხვედრა შესაძლოა არც გვეხსენებინა, მაგრამ ახლა სხვა ვითარებაა — „სოსიედადი" ცხრილის სათავეშია, „რასინგმა" კი ბოლო ტურში „რეალი" დაამარცხა. ეს ფორვარდთა ბრძოლა იქნება: სანსებასტიანელებს დარკო კოვაჩევიჩი და ნიჰათ კაჰვეჩი ჰყავთ, სანტანდერელებს კი მარიო რეგუეირო, ხავი გერერო და პედრო მუნიტისი.

მადრიდის „რეალი" იმ უიღბლო სერიის დასრულებას ლამობს, წინა კვირაში რომ ჰქონდა. „რასინგთან" მარცხზე ზემოთაც ვთქვით, შუა კვირაში კი ბერძნულ აეკ-თან ვერ შეინარჩუნა ორბურთიანი სალიგო უპირატესობა. ისიც გავიხსენოთ, რომ „რეალი" ჩემპიონატში მარტის მერე ვერ იგებს გასვლით მატჩებს. მაგრამ ახლა მადრიდელები შინ თამაშობენ და მეტოქედაც დაბალადგილოსანი „ვილიარეალი" ჰყავთ. ამასთანავე, შესაძლოა მოედანზე დაბრუნდნენ რაული და ფიგუ — მათი ამბავი ბოლო წამს გადაწყდება, კლოდ მაკელელემ კი საბოლოოდ მოიშუშა ტრავმა და მის თამაშს ხელს აღარაფერი უშლის.

ლანსში სამი გოლის გაშვების მერე „დეპორტივომ" ლიგის შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეიმცირა და დივიზიონშიც ვერ აქვს სახარბიელოდ საქმე. ლაკორუნიელებმა ვერაფრით იპოვეს საკუთარი თამაში გამთამაშებლის ხუან კარლოს ვალერონის დაშავების მერე. გალისიელთა მეტოქე „რაიო ვალეკანოს" კი ის აძლევს იმედს, რომ „დეპორტივო" შარშან დაამარცხა, არადა, „სუპერდეპორი" მაშინ უკეთ თამაშობდა.

„ბილბაოს" წინააღმდეგ ჩემპიონ „ვალენსიას" პაბლო აიმარი არ ეყოლება. არგენტინელმა მხარი დაიშავა. თავის მხრივ ბასკები საზიზღარი სტარტის შემდეგ ნელ-ნელა გონს მოდიან და თამაშს უმატებენ.

ძველი ლიდერი „სელტა", რომელმაც ეს პატივი „რაიო ვალეკანოსთან" მარცხით დაკარგა, დიეგო კატანიასა და ბენი მაკარტის გარეშე დაუხვდება მადრიდის „ატლეტიკოს". კატანია კვლავაც დაშავებულია, მაკარტის კი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი. სავარაუდოა, რომ ვიგოელთა სასტარტო შემადგენლობაში ეკვადორელი ივან კავიედესი იქნება.




აბელარდო და პატრიკ კლუივერტი მატჩის წინ კვლავაც გადაეხვევიან, მერე კი ...



ოტმარ ჰიცფელდი

# ღმერთო, ჩაიცვი ტყავის შარვალი!

## ევროპამ ბალეტს ზურგი აქცია

*დაცემიდან აღზევებამდე ერთი ნაბიჯია, აღზევებიდან დაცემამდე... ნახევარი. არ გჯერათ? აი, ბატონო: „თქვენი თამაში ბალეტს წააგავს. ამ გუნდს რომ ვუყურებთ, გვგონია, თეატრში რაღაც განსაკუთრებულ წარმოდგენას ვესწრებით“ – ხოტბად იღვრებოდა „ბილდი“ ორი თვის წინ მიუნხენის „ბაიერნის“ წინაშე.*

*იმ დროს ჩემპიონთა ლიგა ჯერაც არ დაწყებულიყო, ოტმარ ჰიცფელდის გუნდი წარმოდგენებს მხოლოდ ბუნდესლიგაში მართავდა.*

*მერე გასტროლების დროც დადგა და ბავარიელები ჯერ ესპანურ „დეპორტივოსთან“ დამარცხდნენ, მერე ფრანგულ „ლანსს“ ვერ მოუგეს და პირველი კრიტიკაც მაშინ გაისმა. ამას „მილანთან“ შინ და სტუმრად წაგება მოჰყვა და,...*


ვანო ოქრობირიძე

ბერლინიდან




„ბალეტზე ჯერაც უნდა ვიოცნებოთ“ — წერდა გუშინდელი „ბილდი“. ამავე გაზეთის გუშინწინდელ ნომერს კი დიდი სათაური ამშვენებდა: „ილოცე ბაიერნო!“ ქვემოთ კი მინაწერი იყო: „იქნებ, ამან მაინც გიშველოს“. თუმცა ლოცვა მიუნხენელებმა ჯერ კიდევ „მილანთან“ ოთხშაბათამდელ მატჩამდე დაიწყეს. ამ შეხვედრის წინ დაბეჭდილ სტატიაში თითქმის ყველა ბაიერნელი ხელებაპყრობილი ცისკენ იყურებოდა და შესთხოვდა: „ფეხბურთის ღმერთო, ჩაიცვი ტყავის შარვალი!“ შეგახსენებთ, ტყავის შარვალი ბავარიელთა ეროვნული სამოსის შემადგენელი ნაწილია.

„თამაში ბედისწერასთან“, „ყველაფერი ან არაფერი“ და ასე შემდეგ — გერმანული პრესის თამაშისწინა მიმოხილვებში მრავალფეროვნება იგრძნობოდა. ზოგს „ბაიერნის“ ეიმედებოდა, ზოგი ხავსს ეჭიდებოდა, ზოგს კი მოსაჭიდი ხავსი ვერ ეპოვა. თავად კლუბიდან მეტ-ნაკლები იმედი გამოსჭვიოდა. პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა, მატჩისწინა ინტერვიუებში რომ ამბობდა, მეეჭვება ჩემი გუნდისო, თამაშამდე ნახევარი საათით ადრე ტელეკომპანია RTL-თან საუბარში აზრი იცვალა და თქვა, ჩვენი შემდგომ ეტაპზე გასვლა მოულოდნელი სულაც არაა, შანსი საკმაოდ გვაქვს და მგონია, რომ გამოვიყენებთო.

„დღეს ჩვენ 11 ოლივერ კანი გვჭირდება, მხოლოდ ამ შემთხვევაში მოვიგებთ — წერდა იგივე „ბილდი“, რომელიც, წინა კვირამდე დაახლოებით ნახევარი თვე კანის განადგურებით იყო დაკავებული.

ზემოთ გაზეთში დაბეჭდილი ცისკენ ხელებაპყრობილი ბავარიელები ვახსენე და თითოეული მათგანის სურათს, შესაბამისი წარწერაც ამშვენებს.

„ოდესმე ნავსი ხომ უნდა გავტეხო და სტუმრად ისევ გავიტანო?! ღმერთო დამეხმარე“ — შეჰღაღადებდა ჯოვანი ელბერი, რომელსაც უკვე დიდი ხანია, მიუნხენის „ოლიმპიაშტადიონის“ იქით ველარ გააქვს.

„ჩვენ ყველაფერს გავიღებთ, ოღონდ შენ ზურგი არ შეგვაქციო“ — ევედრებოდა ჰასან სალიჰამიჯიჩი.

„ღმერთო, შეცვლაზე იღბლიანად შემიყვანე და გოლი გამატანინე“ — ლოცულობდა ტრავმამოშუშებული მეჰმეთ შოლი.

„ღმერთო, მილანში ნაადრევ გოლს ნუ გაგვაშვებინებ“ — შესთხოვდა მცველი სამუელ კუფური.

„ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნა? არა, ეს არ უნდა დავუშვათ! ღმერთო დაგვეხმარე“ — იხვეწებოდა ოტმარ ჰიცფელდი.

როგორ შეიძლება მოვუგოთ „მილანს“? — ბოლო ხანს გერმანიაში ამ ფრიად აქტუალურ კითხვაზე პასუხი ძველმა ბაიერნელმა შტეფან ეფენბერგმა გასცა: „მთავარი გუნდური სულია. კი, შეიძლება, რომ მატჩის ბედი, რომელიმე ფეხბურთელის, თუნდაც ბალაკის ინდივიდუალიზმმა გადაწყვიტოს, მაგრამ მთლიანობაში თუ ავიღებთ, დღევანდელი „მილანის“ დარი გუნდების დამარცხება მხოლოდ გუნდური სულისკვეთებით შეიძლება.“

მოდით, ახლა რეალურად რაც იყო, იმაზე ვთქვათ — „ბაიერნს“ მილანში სულაც არ უთამაშია ცუდად, მაგრამ... მაგრამ ფეხბურთის ღმერთმა ბავარიულ ტყავის შარვალს, იტალიური სამოსი ანაცვალა (ტყავის შარვალი, ეტყობა, მეორად ტანსაცმელში ჩააბარაო, წერს „ბილდი“).

ფეხბურთის ღმერთმა არ შეისმინა სემი კუფურის თხოვნა და ოლივერ კანს უკვე მე-11 წუთზე გამოატანინა ბურთი კარიდან; ღმერთმა ყური არ ათხოვა ჯოვანი ელბერის ვედრებას და შედეგად ბურთი მისი თავურის შემდეგ ხარიხამ აისხლიტა; მან არც შოლის, სალიჰამიჯიჩის, ჰიცფელდის და სხვა ბავარიელების ლოცვა ისმინა და „ბაიერნი“ დამარცხდა. ასე იქცა იმედის ღამე ცრემლების ღამედ, მერე კი საოცრების მოლოდინის ღამედ. საოცრებისა იმიტომ, რომ გამოუსწორებელ ოპტიმისტებს ახლაც სჯერათ იმ საოცრების, რომელიც ჩემპიონთა ლიგაში ჯერ არ მომხდარა, ანუ ოთხი ტურის შემდეგ ერთქულიანი გუნდი შემდეგ ეტაპზე არასოდეს გასულა. თუმცა ამ სასწაულის, გამოუსწორებელ ოპტიმისტებს ისევ სჯერათ.

ამ იმედს, ისინი იმითი ხსნიან, რომ ბალაკი ბოლოს და ბოლოს ათამაშდება ისე, როგორც ამას გულშემატკივრები „ლევერკუზენში“ ყოფნისას და ეროვნულ გუნდში დააჩვია. ისინი იმედოვნებენ, რომ მას მხარს ზე რობერტოც აუბამს, ელბერიც ნავსს გატეხს, შოლიც ფორმაში შევა და სოფელიც აშენდება. თუმცა ფეხბურთელთა განწყობა ჯერ საპირისპიროს აჩვენებს.

„შემეშვით, არანაირი კითხვა. დაღლილი ვარ“ — ასეთი პასუხით გაისტუმრა ბალაკმა მასთან მცირე ინტერვიუს მსურველი ჟურნალისტები. მისი ეს პასუხი კი ერთი ვარაუდის გამოთქმის საშუალებას იძლევა: თუ ბალაკს დღეს ბუნდესლიგაში „ჰანოვერთანაც“ არ წაუვიდა თამაში, გერმანელი მედიელები უცებ დაანარცხებენ ძირს და ისე გაუსწორებენ აბზუებულ ცხვირს, ვინძლო ბალაკი თავად იხვეწებოდეს, ჩემთან ინტერვიუ ხომ არ გნებავთო.

ცხვირის გასწორების წინასაოპერაციო პერიოდი კი უკვე დაიწყო: „ბილდმა“ მისი თამაში 5-იანით შეაფასა, რაც ძალიან ცუდს ნიშნავს, თანაც კომენტარიც გაუკეთა, არც ერთი ის თვისება არ გამოუვლენია, რითაც სახელი გაითქვა, პირველი გაშვებული გოლი კი სულაც მისი ბრალიაო. „ბილდმა“ ისიც დააყოლა, მისი წინამორბედი ეფენბერგი მიკროფონით ხელშიც კი სჯობნის ბალაკს, არათუ საფეხბურთო მინდორზეო. ცნობისთვის, გეტყვით, რომ შტეფან ეფენბერგი ტელეკომპანია RTL-ს ჰყავდა მიწვეულ ამ მატჩზე კომენტატორად.

ნიკას გარდა „დენვერს" კიდევ ერთი მისი კბილა ახალწვეული ჰყავს დრაფტის მე-7 ნომერი, ბრაზილიელი თავდამსხმელი ნენე ილარიო, რომლის გულისთვისაც გუნდი ძველ ლიდერ ანტონიო მაკდაიესსაც შეელია. „დენვერის" ახალბედა მწვრთნელი ჯეფ ბზდელიკი ამ ორ უცხოელზე ააწყობს გუნდის აღმშენებლობის გეგმას და თუ გაუმართლა, მისი სტრატეგია მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ გამოიღებს ნაყოფს. მანამდე კი ცქიტიშვილი და ილარიო რამდენიმე, ასე ორი-სამი წლის განმავლობაში იქნებიან ჯუონ ჰოვარდის, ჯორჯ მაკლაუდის, მარკუს კემბისა და სხვა ვეტერანების ჩრდილში და წლეულს მათგან არავინ მოითხოვს მატჩში საშუალოდ 15 ქულას და 10 მოხსნას. არც „დენვერისგანაა" მოსალოდნელი თუნდაც 30-ოდ თამაშის მოგება და დივიზიონში მეექვსეზე მაღალი ადგილის დაკავება. უფრო კი „დენვერი" სულაც ბოლო ადგილზე გავა დივიზიონში, „მემფისის" ზურგს უკან.

### მემფის გრიზლიზი

*მწვრთნელი: სიდნი ლავი, მეორე სეზონი მემფისში*

*წინა სეზონი: 23-59, მე-7 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფში ვერ გავიდა*

*სავარაუდო სასტარტო ხუთეული: ჯეისონ უილიამსი, მაიკლ დიკერსონი, შეინ ბეტიე, პაუ გასოლი, ლორენცენ რაიტი*

*ძირითადი სათადარიგოები: ბრევინ ნაითი, ვესლი პერსონი, დრიუ გუდენი, სტრომილ სვიფტი, ტონი მასენბურგი*

„მემფისმა" და მისმა წინამორბედმა „ვანკუვერმა" ბოლო წლების დრაფტებში საკმაოდ წარმატებით ხვეტეს ნიჭიერი ჯეელები და ახლა უკვე დროა, სერიოზულად იფიქრონ წინსვლაზე. გუნდს გენერალურ მენეჯერად ლეგენდარული ჯერი ვესტი ჰყავს, ვინაც თავის დროზე „ლეიკერსი" აჩემპიონა, ახლო წარსულში კი უკვე ადმინისტრაციულ-სელექციური საქმიანობით შეკრა ბოლო სამი სეზონის ტრიუმფატორი „ლეიკერსი".

„მემფისს" ბარე ექვსი ნიჭიერი ახალგაზრდა მოეძევება, რომელთა შორის კაშკაშებენ შარშანდელი ახალბედები შეინ ბეტიე და პაუ გასოლი. შეიძლება ითქვას, გასოლი თვალსა და ხელს შუა, დღეობით იზრდება და წლეულს იქნებ „ოლ სტარიც" ითამაშოს. სხვებიც თამამად მიჰყვებიან, ასე რომ, სულ მალე დასავლეთს კიდევ ერთი კარგი გუნდი შეემატება.



„დალასის" ლიდერი გერმანელი დირკ ნოვიცკი და „ჰიუსტონის" მომავალი ლიდერი ჩინელი იაო მინგი



ნიკა ცქიტიშვილი მღელვარებით ელის სეზონის დაწყებას

# დასავლეთის კონფერენცია. წყნარი ოკეანის დივიზიონი



ჩემპიონობით გაზულუქებულ „ლეიკერსს“ სხვა შედეგი ვერც წარმოუდგენია

## საკრამენტო კინგზი

*მწვრთნელი: რიკ ადელმანი, მეხუთე სეზონი საკრამენტოში*

*წინა სეზონი: 61-21, პირველი ადგილი კონფერენციაში, დასავლეთის ფინალში 3:4 წააგო „ლეიკერსთან“*

*სავარაუდო სასტარტო ხუთეული: მაიკ ბიბი, დუგ კრისტი, პრედრაგ სტოიაკოვიჩი, კრის ვებერი, ვლადე დივაცი*

*ძირითადი სათადარიგოები: ბობი ჯეკსონი, ჰიდაიეთ თურქოღლუ, კეონ კლერკი, სკოტ პოლარდი*

ჩვენი აზრით, ნბა-ს საუკეთესო გუნდია. ძლიერი ინდივიდუალისტებით თანაბრად დაკომპლექტებული რგოლებით და უღონიერესი სათადარიგოებით „საკრამენტო“ მაინც რჩება გუნდური თამაშის მიმდევრად, რაც წარმატების გარანტიაა. აქ ბურთაობს ნბა-ს ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე კრის ვებერი, მაგრამ „მეფეები“ იმდენად არიან დამოკიდებული მასზე, რამდენადაც სხვა ნებისმიერ ხუთეულელზე. ასე რომ, ვინმეს გამოკლება საკრამენტოელებისთვის ტრაგედია არ არის.

ვებერის, მაიკ ბიბისა და სნაიპერ იუგოსლაველ პეჯა სტოიაკოვიჩის მყოლი „კინგზი“ რამდენიმე წელია, სამაგალითოა შეტევის მოწყობაში, ხოლო როცა დივაცთან და კრისტისთან ერთად სხვებმაც ისწავლეს დაცვის ანბანა, გუნდი ჩემპიონობის რეალური კანდიდატი გახდა. წინა სეზონში „კინგზს“ ორი წუთი და ორიოდ ქულა დააკლდა კონფერენციის ფინალში „ლეიკერსის“ დამარცხებამდე და ამდენად ფაქტობრივად ჩემპიონობამდე, იმსახურებდა კიდეც. ამ დასანანმა მარცხმა ვერ დაუკარგა ხალისი „მეფეებს“. მათ არ განელებიათ ნამდვილი კალათბურთის თამაშის წყურვილი.

## ლოს ანჯელეს ლეიკერსი

*მწვრთნელი: ფილ ჯეკსონი, მეოთხე სეზონი ლეიკერსში*

*წინა სეზონი: 58-24, მე-2 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფის ფინალში 4:0 დაამარცხა „ნიუ ჯერსი“*

*სავარაუდო სასტარტო ხუთეული: დერიკ ფიშერი, კობი ბრაიანტი, რიკ ფოქსი, რობერტ ჰორი, შაკილ ონილი*

*ძირითადი სათადარიგოები: ბრაიან შოუ, დევინ ჯორჯი, ქარიმ რაში, სამაკი უოლკერი*

„ლეიკერსზე“, მის ტრიუმვირატზე და სამმაგ ტრიუმფზე იმდენი დაგვიწერია, ახალის მოაზრება გაგვიჭირდება. ამიტომ მიმდინარე ცნობებს შევეხოთ და ვთქვათ, რომ ფეხის ცერა თითზე ოპერაციის გადამტანი შაკილ ონილი დამდეგი სეზონის პირველ თამაშებს გამოტოვებს. ეს ყველას პირზე აკერია, თუმც უშაკობას არავინ განიცდის, რადგან მთავარია, ის სეზონის დასკვნით ეტაპზე იყოს ჯანზე. დევშაკი გაიძახის, ყველა დროის უძლიერესი ცენტრი ვარო და თავს ჯაბარზე, ბილ რასელზე და თვით აწ განსვენებულ უილტ ჩემბერლენზე მაღლა აყენებს, ხოლო როცა თვითქებაში დაილლება ხოლმე, ამბობს, დაე, ჩემს მაგივრად ჩემმა შედეგებმა ილაპარაკონ. შედეგები თვალსაჩინოა — ზედიზედ სამი ჩემპიონობა. შაკს არც მომცრო დოსტი კობი ბრაიანტი ჩამორჩება. იგი ჯორდანს ეზომება, ხოლო უძლეველი დევის მესამე თავი, მწვრთნელი ფილ ჯეკსონი, ამ სეზონში გაჩემპიონებას ეშურება, რის შემდეგაც ათი ტიტული დაუგროვდება და ამ მხრივ სადღეისოდ თანარეკორდსმენს, ლეგენდარულ რედ აუერბახს ჩამოიტოვებს.

## პორტლენდ თრეილ ბლეიზერსი

*მწვრთნელი: მორის ჩიკსი, მეორე სეზონი პორტლენდში*

*წინა სეზონი: 49-33, მე-3 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფის პირველ წრეში 0:3 წააგო „ლეიკერსთან“*

*სავარაუდო სასტარტო ხუთეული: ჯეფ მაკინისი, ბონზი ველსი, სკოტი პიპენი, რაშიდ ვოლესი, დეილ დევისი*

*ძირითადი სათადარიგოები: არვიდას საბონისი, დერიკ ანდერსონი, დეიმონ სტუდემაიერი, რუბენ პატერსონი და ა.შ.*

თუკი შეიძლება ასეთი გამოთქმა ვიხმაროთ, „პორტლენდი“ გადამწიფებულია. ამ გუნდის მაისურით ბედნიერებას ეძებს ბევრი ვარსკვლავი, იმდენად ბევრი, რომ ისინი ერთმანეთს ფეხებში ებლანდებიან და დამშეულებს სათამაშოდ გამოყოფილი ხუთჯერ 48 წუთი აშკარად არ ჰყოფნით. ამიტომაც ზოგჯერ ისინი ერთმანეთს ჭამენ. „პორტლენდს“ ისეთი სათადარიგოები ჰყავს, მათგან ერთი საპლეიოფო გუნდი გამოიჭრებოდა. დერიკ ანდრესონს, რუბენ პატერსონს, არვიდას საბონისს და დეიმონ სტუდემაიერს ნებისმიერი გუნდი ისურვებდა, მაგრამ „პორტლენდიდან“ წასვლა არავის სურს. ჰოდა, ამ შინაგან ჭყლეტვაში ყველაზე მეტად „პორტლენდი“ იჭყლიტება და ალბათ წლეულსაც გაიჭყლიტება, გუნდის ბოსებმა თუ შემადგენლობის გაცხრილვაზე არ იზრუნეს.

## სიეტლ სუპერსონიქსი

*მწვრთნელი: ნეიტ მაკმილანი, მესამე სეზონი სიეტლში*

*წინა სეზონი: 45-37, მე-4 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფის პირველ წრეში 2:3 წააგო „სან ანტონიოსთან“*

*სავარაუდო სასტარტო ხუთეული: გერი პეიტონი, ბრენტ ბერი, რაშარდ ლუისი, ვლადიმერ რადმანოვიჩი, კელვინ ბუთი*

*ძირითადი სათადარიგოები: კენი ანდერსონი, ვიტალი პოტაპენკო, დესმონდ მეისონი, პრედრაგ დრობნიაკი, დენი ჯეიმსი*

90-იანი წლების ერთ-ერთი წამყვანი გუნდი „სიეტლი“ 2000-იანებში საშუალოებში ჩამოქვეითდა და თან ყოველთვის ველარ ახერხებს პლეი ოფში მოხვედრას — კონკურენტები მოუმრავლდა. ახლაც გუნდის ძირითადი მიზანი პლეი ოფში მოხვედრაა, იქ კი ვინ იცის, იქნებ „მინესოტას“ გადაეყაროს ან ლიდერებდატრავმულ ბობოლას. თავად „სიეტლის“ ლიდერ გერი პეიტონს პრაქტიკულად არ აწუხებს რაიმეს მოტეხილობა-დაჟეჟილობა-დაჭიმულობა და უფორმობასაც იშვიათად უჩივის, პირიქით, ასაკის მატებასთან ერთად ის, როგორც ინდივიდუალური მოთამაშე აგრძელებს ზრდას და ვინძლო სწორედ ახლა იყოს ფორმის პიკზე და არა მაშინ, როდესაც „სიეტლი“ ჩემპიონობაზე იწევდა.

თავადაც ზესწრაფ პეიტონს, მოქნილი და მოძრავი დაბალი ბიჭები ჰყავს და ძირითადად პერიმეტრიდან ერჩის მეტოქეთ. გუნდს პრაქტიკულად არა ჰყავს ხეირიანი მეფარე, მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც გალოთებული ვინ ბეიკერი „ბოსტონში“ გაუშვა კიდევ ერთი სამარქაფო უკანახაზელის კენი ანდერსონის სანაცვლოდ.

## ლოს ანჯელეს კლიპერსი

*მწვრთნელი: ელვინ ჯენთრი, მესამე სეზონი კლიპერსში*

*წინა სეზონი: 39-43, მე-5 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფში ვერ გავიდა სავარაუდო სასტარტო ხუთეული: ანდრე მილერი, კვენტინ რიჩარდსონი, ლამარ ოდომი, ელტონ ბრენდი, მაიკლ ოლოვოკანდი*

*ძირითადი სათადარიგოები: კორი მეჯიტი, ერიკ პიატკოვსკი, მარკო იარიჩი, კრის ვილკოქსი, ბრაიან სკიტი, შონ რუქსი*

„კლიპერსი“ დიდხანს ითმენდა, მიზანდასახულად აგროვებდა ახალგაზრდა პერსპექტიულ ყმაწვილებს და აი, ამ სეზონისთვის სცენაზეც გამოვა. წლეულს გუნდის მიზანი პლეი ოფში მოხვედრაა, რაც შეუძლებლად არ მოეჩვენება მას, ვინც არ დაიზარებს და გუნდის შემადგენლობას ჩაზედავს. ელვინ ჯენთრის განკარგულებაშია არაერთი მომავალი ოლსტარელი, რომელთა შორის ელტონ ბრენდთან და ლამარ ოდომთან ერთად უნდა გამოვარჩიოთ ახალწვეული ანდრე მილერი. ახლაც გაუგებარია, როგორ დასტყუა უკვე მზა ვარსკვლავი ანდრე მილერი „კლიპერსმა“ „კლივლენდს“ თითქმის მუქთად, ჭიჭყინა დარიუს მაილზის სანაცვლოდ. მილერი იმ მცირე ამერიკელთაგანია რომლებმაც ამ შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატზე ამერიკელთაგან ძალიან არ შეირცხვინეს თავი. ეს მომცრო ჯეელი, წინა სეზონში ლიგის პირველი მეპასე მთელ „კლიპერსს“ წასწევს წინ და ლოსანჯელესელებმა იქნებ 45 თამაშზე მეტიც მოიგონ. ერთი კია, რაც არ უნდა გაძლიერდეს; „კლიპერსი“ ყოველთვის დარჩება უფროსი ძმის, „ლეიკერსის“ ჩრდილში.

## ფინიქს სანზი

*მწვრთნელი: ფრენკ ჯონსონი, მეორე სეზონი ფინიქსში*

*წინა სეზონი: 36-46, მე-6 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფში ვერ გავიდა*

*სავარაუდო სასტარტო ხუთეული: სტივენ მარბერი, ანფერნი ჰარდევეი, შონ მარიონი, ბო აუთლოუ, იაკოვოს ცაკალიდისი*

*ძირითადი სათადარიგოები: ჯო ჯონსონი, სკოტ უილიამსი, ტომ გულიოტა, ამარე სტუდემაიერი*

„ფინიქსი“ მუდამ იყო საშუალოებში ან უკეთესებში, მაგრამ წინა სეზონში მოულოდნელად პლეი ოფს ასცდა, რაც გუნდის ბოსების წინდაუხედაობის შედეგია. „ფინიქსის“ ძველი ლიდერის ჯეისონ კიდის „ნიუ ჯერსიში“ გაშვებით და იქიდან ახალგაზრდა სტივენ მარბერის გადმოყვანით ხელმძღვანელებმა თითქოს წინ გადადგეს ნაბიჯი, მაგრამ პირიქით კი მოხდა — კიდმა „ჯერსი“ ფინალში გაიყვანა, მარბერიმ კი „ფინიქსი“ პლეი ოფიდან გამოიყვანა. წლეულს მარბერის აუცილებლად მოსთხოვენ ქულების ხვეჭის ნაცვლად გუნდის გაძღოლას და სხვა ვეტერანებთან, განსაკუთრებით კი ანფერნი ჰარდევეისთან საერთო ენის გამონახვას, როგორც თამაშში, ასევე ცხოვრებაში. ერთადერთი კალათბურთელი, რომელზეც „ფინიქსში“ აუგი ვერავის დასცდება, ფრთა შონ მარიონია.

## გოლდენ სტეიტ ვორიორზი

*მწვრთნელი: ერიკ მუსელმანი, პირველი სეზონი გოლდენ სტეიტში*

*წინა სეზონი: 21-61, მე-7 ადგილი დივიზიონში, პლეი ოფში ვერ გავიდა*

*სავარაუდო სასტარტო ხუთეული: ჯილბერტ არენასი, ჯეისონ რიჩარდსონი, მაიკ დანლივი, ანთაუნ ჯემისონი, ერიკ დამპიე*

*ძირითადი სათადარიგოები: დენი ფორტსონი, ირჟი ველში, ბობ სურა, კრის მილზი, ტროი მერფი*

აი, გუნდი, რომლის მაგალითიდანაც ნებისმიერმა ჭკუადამჯდარმა შეიძლება ისწავლოს, თუ როგორ არ უნდა წარიმართოს მოთამაშეთა სელექცია და საკადრო პოლიტიკა. თავის დროზე „ვორიორზმა“ უილტ ჩემბერლენი გაყიდა და ახლაც კლუბის თანამედროვე ბოსები ძველთა კვალს ჯიუტად მისდევენ, წარამარა ცვლიან და აახლებენ შემადგენლობას და ამის წყალობით გასაოცრად იოლად ჩამოართვეს „კლიპერსს“ მარადი აუტსაიდერის „საპატიო“ წოდება. ამ გუნდში მისვლა არც ერთ ხეირიან მოთამაშეს აღარ სურს და „გოლდენ სტეიტიც“ მხოლოდ დრაფტიდან აყვანილთა იმედადაა. თუკი „ვორიორზის“ დაბალ საცხრილო პოზიციებს გავითვალისწინებთ, გუნდს დრაფტში ხეირის ნახვის კარგი შანსი უნდა ჰქონდეს, მაგრამ უკბილო, „ვაი-მეომრები“ აქაც არ ვარგიან. ახლა, წლევანდელ დრაფტში, მე-3 ნომრად თეთრი ფორვარდი მაიკ დანლივი აიყვანეს, ძალიან აქებენ, მომავალი ლარი ბერდიაო, მაგრამ, მაგათ ნაღდი ბერდიც რომ ჰყავდეთ, მგონი, იმასაც ვერ შეირგებენ.

**ირაკლი ფირყშილი**



გერი პეიტონი კვლავ თავგამოდებით დაიცავს „სიეტლის“ ინტერესებს

# ნოდარ გუგუშვილი 75



*ნ. გუგუშვილი*

*ასე აწერდა ხელს ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ამაგდარი, ჩვენი უფროსი კოლეგა და უფროსი მეგობარი ნოდარ გუგუშვილი თავის მუდამ საინტერესო წერილებს. იგი 1996 წელს გარდაიცვალა. ამ დღეებში მას 75 წელი შეუსრულდებოდა. დღევანდელი მოგონებებით გვინდა კიდევ ერთხელ მივაგოთ პატივი ნოდარ გუგუშვილის ნათელ ხსოვნას*



ავთანდილ გურასკაშვილის ფოტო

ჯანო ბაგრატიონი ოლიმპიურ მედალს გადასცემს ნოდარ გუგუშვილის მეუღლეს, ქალბატონ მედეა გოცირიძეს

## ჩვენი ფალავანი

**ჩვენს** ფიზკულტურის მასწავლებელს, ტიბერიუს კილასონიას ერთი „ახირება" ჰქონდა: პარასკეობით, კვირაში ერთხელ, სწავლას რომ მოვრჩებოდით, უფროსკლასელებს სპორტულ დარბაზში შეგვიძღვებოდა, ტანვარჯიშის გრძელ სკამზე ჩამოგვამწკრივებდა, თვითონ კი პიანინოს სკამზე ჩამოჯდებოდა, ჯიბიდან ოთხად გაკეცილ „ლელოს" ამოიღებდა და კითხვას იწყებდა. ბავშვებს გული სათამაშოდ მიგვიწევდა, თვალი კუთხეში მიყრილი ბურთებისკენ გაგვირბოდა, მაგრამ ვიდრე ბოლო წერილს ჩაამთავრებდა, წამოდგომა კი არა, ხმის ამოღებაც გვეკრძალებოდა. ბატონი ტიბერიუსი, მახსოვს, რამდენიმე ავტორის წერილს გამოარჩევდა და ამ მათ განსაკუთრებული მოწადინებით კითხულობდა.

პირველად სწორედ ჩვენი სკოლის სპორტულ დარბაზში, „ლელოს" გაკვეთილებზე გავიგე მიხეილ კაკაბაძის, ნოდარ გუგუშვილის, ბიჭიკო ქორქიას და სხვა ცნობილ ჟურნალისტთა გვარ-სახელები. აბა, მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ მთელი ჩემი ცხოვრება სპორტულ ჟურნალისტიკას დაუკავშირდებოდა და ამ სახელოვანი ხალხის გვერდით ერთ რედაქციაში ვიმუშავებდი. „ლელოში" შტატგარეშე კორესპონდენტად რომ მიმიღეს, გაზეთს მიხეილ კაკაბაძე რედაქტორობდა, ნოდარ გუგუშვილი კი წამყვან განყოფილებას უძღვებოდა — უკვე აღიარებული და პოპულარული ჟურნალისტი, რომელსაც კოლეგებიც და სპორტის მუშაკებიც გამორჩეული პატივისცემით ეპყრობოდნენ.

ნოდარი იმ პირველ ლელოელთა შორის იყო, ვინც ახალ საქმეს დაუდო სათავე და „ლელო" ყველასათვის საყვარელ გაზეთად აქცია. აქედან იწყება ქართული სპორტული ჟურნალისტიკის ახალი ისტორიაც, რომელიც წარმოუდგენელია ნოდარი გუგუშვილის გარეშე. მისი ჟურნალისტური მემკვიდრეობა ოცამდე წიგნს, ათასობით საგაზეთო სტატიას და ტელერადიო ჩანახატს აერთიანებს. აქ არის თავმოყრილი ქართული სპორტის თითქმის ორმოცდაათწლიანი ისტორია, ამ ისტორიის უმნიშვნელოვანესი მოვლენები, ამბები, ფაქტები. როგორც ნამდვილ მემატიანეს, მისხალმისხალ აღნუსხული აქვს ქართული სპორტის ყველა წარმატება, თითოეული ქულა თუ მედალი. ნოდარი შეუმცდარი სტატისტიკოსიც გახლდათ და პირუთვნელი შემფასებელ-ანალიტიკოსიც. მან სპორტულ ჟურნალისტიკაში დაამკვიდრა ახალი სტილი, რომელიც სპორტის საფუძვლიან ცოდნას, ამბის საინტერესოდ გადმოცემის უნარს და მრავალმხრივ პროფესიულ მომზადებას ეფუძნებოდა. ნამდვილი ოსტატისა და კალმოსნის ხელი ეტყობა არა მარტო დიდ საგაზეთო წერილებს, რეპორტაჟებსა თუ ნარკვევებს, ერთი შეხედვით უმნიშვნელო ინფორმაციასაც კი. ნოდარისთვის არ არსებობდა დიდი და პატარა თემები, მნიშვნელოვანი და მეორეხარისხოვანი მასალები — ამიტომაც არის, რომ თითოეულ წერილსა და სტრიქონში იგრძნობა პასუხისმგებლობა საქმისა და მკითხველის წინაშე. ამიტომაც იყო ასე პატივცემული და დაფასებული — კაცი, რომელსაც მოწიწებით ეპყრობოდნენ და თუ რაიმე საკამათო იქნებოდა, აკითხავდნენ და რჩევას სთხოვდნენ. მით უმეტეს, ასე ვიქცეოდით ჩვენ, ჯერ კიდევ ახალბედა ჟურნალისტები, ვისთვისაც ნოდარ გუგუშვილის ცოდნა და გამოცდილება, პროფესიული კეთილსინდისიერება თუ პიროვნული თვისებები მისაბაძი და სამაგალითო იყო.

სპორტის დარად სპორტულ ჟურნალისტიკასაც თავისი რჩეულები ჰყავს, თავისი ჯილა და ფალავანი.

ბედნიერი ვარ, რომ მერგო პატივი ვყოფილიყავი რედაქტორი ნოდარ გუგუშვილის მიერ შედგენილი ოლიმპიური ენციკლოპედიისა, რომელსაც ავტორმა ათეულობით წლები შეალია, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოცემას ვერ მოესწრო. მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1977 წელს მოხერხდა ამ საქმის დამთავრება. იმავე წელს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ინიციატივით დაწესდა ნოდარ გუგუშვილის სახელობის ყოველწლიური პრემია, რომელიც უკვე ოთხმა სპორტულმა ჟურნალისტმა მიიღო.

...სპორტის დარად, სპორტულ ჟურნალისტიკასაც ჰყავს თავისი რჩეულები, თავისი ჯილა და ფალავანი.

ნოდარ გუგუშვილი ჩვენი ფალავანია.

**ელგუჯა ბერიშვილი**



ავთანდილ გურასკაშვილის ფოტო

ძველი ლელოელები „ლელოს" იუბილეზე

**ჯილდო** გამარჯვებულისთვის არის უმაღლესი რამ, რაც ნებისმიერი მოკვდავის ცხოვრებას აგვირგვინებსო, ამბობდა პინდარე.

პინდარე გამარჯვებულში ალბათ არ გულისხმობდა მხოლოდ სპორტულ სარბიელზე ან ხელოვნებაში წარმატება-მოპოვებულს, რომელთა პაექრობები ანტიკურ ეპოქაში ძალზე პოპულარული იყო. გამარჯვებულში იგი ალბათ გულისხმობდა ამა თუ იმ საქმეში ნიჭიერებისა და ღვაწლის დაფასებას, რაც არც დღესაა დავიწყებული. ეგ კია, ზოგჯერ ღირსეული პიროვნება კი არა, მისი სკამი და თანამდებობა უფრო ჯილდოვდება, რასაც ვერ ვიტყვით გარდაცვლილებზე, რომლებიც მედლებითა და ორდენებით სიკვდილის მერე ფასდებიან.

ჩვენი უფროსი კოლეგა და მეგობარი ნოდარ გუგუშვილი სწორედ ისეთი კაცი იყო, რომელიც ნაირგვარი ჯილდოებით სიცოცხლეში დიდად არ დამძიმებულა, თუმცა, როგორც პიროვნებასა და პროფესიონალს, აღიარება არც მაშინ აკლდა, მაგრამ მისი საქმიანობა და წვლილი გარდაცვალების მერე უფრო დაფასდა.

1999 წელს, როცა ნოდარ გუგუშვილი სამი წლის წასული იყო ამ ქვეყნიდან, საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ამ ორგანიზაციის დაფუძნებაში შეტანილი წვლილისთვის თავისი საიუბილეო მედლით სიკვდილის მერე დააფასა. მაშინ ოლიმპიური მედალი სეოკ-ის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა ნოდარ გუგუშვილის მეუღლეს, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მედეა გოცირიძეს გადასცა.

და გაგვახსენდა 1989 წელი, როცა ლელოელები ვიკრიბებოდით და ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნაზე ვმსჯელობდით, მერე კი მისი დამფუძნებელ საორგანიზაციო კომიტეტს ვაყალიბებდით. ამ საქმიანობაში უდიდესი წვლილი შეიტანა ნოდარ გუგუშვილმა, როგორც ჩვენს შორის ოლიმპიზმის ყველაზე კარგმა მცოდნემ და უდიდესმა ავტორიტეტმა. ამიტომაც სრულიად ბუნებრივი იყო, რომ ნოდარ გუგუშვილი საქართველოს ეოკ-ის პირველარჩეული აღმასკომის წევრად მოგვევლინა და როგორც ჟურნალისტსა და ოლიმპიზმის აღიარებულ მცოდნეს საგამომცემლო-სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობა ანდეს.

ამ სფეროში მისი უდიდესი ცოდნა აისახა მისივე ავტორობით დასტამბულ ოლიმპიურ ენციკლოპედიაში, რომელიც მისივე მოსწავლეებმა, კოლეგებმა და მეგობრებმა ნოდარ გუგუშვილის გარდაცვალების მერე გამოსაცემად მოამზადეს. ეს იყო ავტორისადმი უღრმესი პატივისცემისა და აღიარების ნიშანი, რაც 1997 წელს ამ ენციკლოპედიის პრეზენტაციაზე დიდძალი საზოგადოების მისვლითა და გულთბილი სიტყვებითაც დადასტურდა.

ენციკლოპედიები, ჩვეულებრივ, ავტორთა ჯგუფების მიერ მზადდება, ქართული ოლიმპიური ენციკლოპედია კი ერთი კაცის მიერაა შედგენილი და ეს ხაზგასმითაა აღსანიშნავი. ეს ენციკლოპედია ახლა ოლიმპიზმზე (და არა მხოლოდ მასზე) მწერალ სპორტულ ჟურნალისტთა სამაგიდო წიგნია, რომელიც ხმარებისგან უკვე გაიცრიცა.

მაგრამ ნოდარ გუგუშვილი არა მხოლოდ ოლიმპიზმში შესაშური განათლებით გამოირჩეოდა, რაზეც არაერთი წიგნიც დაუსტამბავს, არამედ ზოგადად სპორტის ცოდნითაც.

საერთოდაც, ბატონი ნოდარი დიდად ერუდირებული და მრავალ სფეროში ენციკლოპედიურად განსწავლული კაცი იყო. როგორც მისი მეგობრები იხსენებენ, განათლებით ფილოსოფოს ნოდარ გუგუშვილს სტუდენტობის წლებშივე დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ მისივე პედაგოგები და სხვა სპეციალისტები. რომ არა ჟურნალისტიკა, და „ლელოს" რედაქტორი მიხეილ კაკაბაძე, რომლის თხოვნითაც ნოდარ გუგუშვილმა ამ გაზეთისთვის კალამს ხელი მოჰკიდა, იგი ალბათ ფილოსოფიაში ყველა სამეცნიერო წოდებებითა და რეგალიებით შემკული პიროვნება იქნებოდა. თუმცა, იგი ალბათ სხვა მრავალ სფეროშიც დიდ მწვერვალებს დაიპყრობდა.

მახსენდება ერთი მეგობრისა და კოლეგის ნაამბობი, რომელიც ნიშანდობლივია ნოდარ გუგუშვილის პორტრეტისთვის — ერთ ცეკას მდივანს ნოდარ გუგუშვილზე უთქვამს, ამ კაცის წერილები ძალიან მომწონს და უდიდესი სიამოვნებით ვკითხულობ. გადაეცით, დაადოს თითი ნებისმიერ გაზეთს და მეორე დღესვე მისი რედაქტორი გახდებაო. ამაზე გუგუშვილს შეუცხადებია, „ლელო" ერთადერთი გაზეთია, სადაც სიმართლის თქმა შეიძლება და სხვა გაზეთში რა წამიყვანსო.

ეგეც არ იყოს, ნოდარ გუგუშვილს თავისი ნიჭისა და ნაცნობობის წყალობითაც ნებისმიერი გაზეთის რედაქტორად გახდომა არ გაუჭირდებოდა, მისი ეს ნაცნობობისა და მეგობრების წრე კი უზარმაზარი იყო: მეცნიერები, თეატრისა თუ კინოს მსახიობები, სპორტსმენები, მხატვრები, საზოგადო მოღვაწენი...

ნოდარ გუგუშვილის, ამ პატიოსანი, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებისა და ჩემი უფროსი მეგობარ-კოლეგის გახსენება მისი გარდაცვალების მერე მისივე დაჯილდოებით დავიწყე და ამითვე გავასრულებ: იმ ზაფხულს საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა გვითხრა, მოდი, ბატონი ნოდარ გუგუშვილი „ღირსების ორდენით" დასაჯილდოებლად წარვადგინოთ. ამაზე კარგ საქმეს, აბა, რას გავაკეთებთ. ოღონდ, დაე, ეს სიურპრიზი იყოს მისთვის და ეს ცნობა გაზეთებიდან შეიტყოსო.

ნოდარ გუგუშვილმა თავისი დაჯილდოების თაობაზე ბრძანებულება მართლაც გაზეთებიდან შეიტყო. გაკვირვებული გვეკითხებოდა, იქ, ზემოთ, ნეტა ვის გავახსენდიო.

სამწუხაროდ „ღირსების ორდენის" მიღებას ველარ მოესწრო.

ნოდარ გუგუშვილი მართლაც ღირსეული კაცი იყო.

და მისი „ღირსების ორდენიც" მისმა მეუღლემ ჩაიბარა.

**ავთანდილ გურასკაშვილი**



ნოდარ გუგუშვილი ახალგაზრდა ლელოელებთან

# ᲛᲝᲜᲐᲢᲠᲔᲑᲐ

**ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲜ** ისე ჩანდა, რომ ნოდარ გუგუშვილი სპორტულ ჟურნალისტად იღბალმა აქცია, თორემ მისი ნიჭის, გარეგნობისა და შინაგანი ბუნების ადამიანი წარმატებას ნებისმიერ ასპარეზზე მიაღწევდა. მაგრამ ვინც ახლოს იცნობდა, ის ხვდებოდა, რომ გაზეთი „ლელო" და საყმაწვილო სპორტული ჟურნალი „მართვე" ნოდარისთვის ერთგვარი თავშესაფარი იყო.

მართლაც, ეს ორი რედაქცია ლტოლვილთა იმ თავშესაფარს ჰგავდა, სადაც ადამიანები ისე ცხოვრობდნენ, როგორც ამქვეყნიურ სიამეთ გარიდებული ბერები მღვიმეში.

ნოდარ გუგუშვილი ერთი ასეთი ბერი გახლდათ.

იმ მღვიმის ბინადარ ჟურნალისტებს, როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, არასოდეს უხსენებიათ სიტყვები: „ლენინი", „სტალინი" და „კომუნისტური პარტია", რადგან ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონის ნაცვლად, უბრალოდ „დინამოს" სტადიონს თუ დაწერდი, ამისთვის არავინ დაგტუქსავდა და არც არავინ დაგსჯიდა.

ამ სიტყვების წამკითხველ დღევანდელ ახალგაზრდა ჟურნალისტს, დარწმუნებული ვარ, ირონიულად ეღიმება და არც ვამტყუნებ, რადგან მაშინდელი ცენზურის სუსხი მისთვის სრულიად უცნობი და გაუგებარი რამ გახლავთ.

ნოდარ გუგუშვილს უცნაური მიზიდულობის ძალა ჰქონდა — სულ გინდოდა, რომ მის გვერდით ყოფილიყავი, მასთან გესაუბრა, მასთან ერთად მჯდარიყავი სტადიონისა თუ სპორტის სასახლის ტრიბუნებზე, მაინცდამაინც მისთვის მიგეჭახუნებინა ღვინით სავსე ჭიქა.

არ მახსოვს, ნოდარს თავისი ახალგაზრდა კოლეგებისთვის ჭკუა დაერიგებინოს, „გამოცდილება გაეზიარებინოს". თუკი რამეს დააშავებდი, ანდა გასაკეთებელს ისე ვერ გააკეთებდი, როგორც საჭირო იყო, ოდნავშესამჩნევი, მსუბუქი ირონიული ღიმილით შემოგხედავდა, მეტი არაფერი, მაგრამ ჩვენთვის ეს ღიმილი მწარე მათრახიც იყო და მწყემსის ხრიოკი საზრეც.

ახლა, როცა ნოდარზე ვფიქრობ, გული მეთანაღრება: ერთ უბანში ვცხოვრობდით, ჩემი არ იყოს, ზაში მასაც უყვარდა და შევპირდი — ერთი კარგი ზაში უნდა გავაკეთო და შინ დაგპატიჟო-მეთქი, მაგრამ აი — დღეს, აი — ხვალ და ამქვეყნიდან ისე წავიდა, დანაპირები ვერ შევუსრულე.

ახლა ვზივარ და ვნანობ...

მენატრება მისი წყნარი, გულისხმიერი შემოხედვა, მშვიდი ღიმილი და დინჯი, აუღელვებელი ბაასი.

დღევანდელ საქართველოსაც სწორედ მისნაირი კაცები ენატრება და სჭირდება.

**ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲨᲐᲢᲐᲘᲫᲔ**

# ᲒᲐᲛᲐᲧᲝᲑ, ᲠᲝᲛ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲣᲒᲣᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲕᲐᲠ

*ეს მოგონება ნოდარ გუგუშვილის გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე დაწერა მისმა მეგობარმა თემო ჩირგაძემ, რომელმაც განსაკუთრებით დაგვამახსოვრა თავი ფილმიდან „ცისფერი მთები". მალე თავად თემო ჩარგაძეც გარდაიცვალა*

**ᲩᲕᲔᲜᲘ** მეგობრების წრეში ნოდარ გუგუშვილს ყოველთვის განსაკუთრებული ადგილი ეჭირა, ყოველთვის გვეჯეროდა მისი და სიყვარულთან ერთად რიდი და პატივისცემა გვქონდა. ნოდარი ყოველთვის საზოგადოების ცენტრში იყო, უამრავი მეგობარი და თაყვანისმცემელი ეხვია გარს. აქ იყვნენ სპორტსმენები, ჟურნალისტები, მსახიობები, მწერლები, ფილოსოფოსები... ბუნებრივია, სხვადასხვა გემოვნების, კულტურისა და განათლების ადამიანები. ნოდარი ყველასთან პოულობდა საერთოს, ყველა კმაყოფილი და ბედნიერი იყო მასთან ურთიერთობით.

მახსოვს, ყოფილ ელბაქიძის დაღმართზე იყო „ლელოს" რედაქცია, სადაც ნოდარი თითქმის მთელი თავისი სიცოცხლე მუშაობდა. ეს იყო ჩვენი შეკრების ყოველდღიური ადგილი, ადგილი, სადაც ჩვენ, მაშინ სრულიად ახალგაზრდები, უამრავ საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციას ვიღებდით, და აქაც ცენტრალური ფიგურა ნოდარ გუგუშვილი იყო. მახსოვს მისი ურთიერთობა ბატონ მიხეილ კაკაბაძესთან, ეს ყველასთვის საყვარელი კაცი, რომელიც იშვიათად გამოხატავდა ემოციებს, როგორი პატივისცემით და სითბოთი ეპყრობოდა ნოდარს. დარწმუნებული ვარ, ბატონმა მიშამ იცოდა, რომ საქმე ჰქონდა პიროვნებასთან, რომელთანაც შეიძლებოდა საქმიანი ურთიერთობაც და ნამდვილი მეგობრობაც. ნოდარ გუგუშვილს არასოდეს აინტერესებდა კარიერა, არასდროს უბრძოლია მაღალი პოსტებისთვის და იქ აღზევებული ადამიანებიც სცემდნენ მას პატივს და ამაყობდნენ მასთან ურთიერთობითა და ახლობლობით. ალბათ, გრძნობდნენ, რომ ისინი ნამდვილ კაცურ კაცთან მეგობრობდნენ.

ნოდარ გუგუშვილი ლიდერი იყო ჩვენი თაობისა და ეს აღნიშნა კიდეც ერთხელ ბატონმა აკაკი ძიძიგურმა მეგობრულ სუფრაზე, სულ რამდენიმე თვით ადრე მის გარდაცვალებამდე.

ჩვენმა თაობამ, ჩვენმა წრემ, სამწუხაროდ, ბევრი ადამიანი დაკარგა. არ ვიცი, შეიძლება ვცდები, მაგრამ ყველა მათგანი პიროვნება იყო, ყველა მათგანმა გარკვეული წვლილი შეიტანა იმ საქმეში, რომელსაც კულტურა ჰქვია. ასეთი იყო ნოდარ გუგუშვილიც. მე ვამაყობ, რომ მისი მეგობარი ვარ.

**ᲗᲔᲛᲝ ᲩᲘᲠᲒᲐᲫᲔ**








ნოდარ გუგუშვილის „ოლიმპიური ენციკლოპედიის" პრეზენტაციაზე



ᲒᲝᲒᲘᲢᲐ ᲒᲐᲩᲔᲩᲘᲚᲐᲫᲘᲡ ფოტოები

# საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს?

## რუსთა ჩრდილო სატახტოს თვით რუსი განთესილებიც ტოვებენ



ანდრე აგასი



REUTERS

ევგენი კაფელნიკოვი



REUTERS

მარატ საფინი

**სანქტ პეტერბურგის ღია პირველობა**
ხალიჩა. საპრიზო 1 მილიონი $

**მეორე წრე**

**კაროლ კუჩერა** (სლოვაკეთი) — ანდრე აგასი (1, აშშ) 6:4, 6:4; **ვლადიმირ ვოლჩკოვი** (ბელარუსი) — მარატ საფინი (2, რუსეთი) 6:4, 6:4; **სებასტიან გროჟანი** (3, საფრანგეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:3, 6:1; **დომინიკ ჰრბატი** (სლოვაკეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) 7:6 (7:1), 7:5; **ნიკოლას კიფერი** (გერმანია) — მაქს მირნი (8, ბელარუსი) 6:3, 7:5

პეტერბურგულ ხალიჩაზე იმ დღეს ბობოლათა ბითუმური გაიმასჭნება აღინიშნა. არავინ იცის, ტურნირის მთავარგანთესილმა ანდრე აგასიმ მოსკოვური ამბები მოისაშიშრა, ნევისპირა ჰავა ვერ იგუა თუ — უბრალოდ — კაროლ კუჩერას ვერ აჯობა, მაგრამ რუსთა ჩრდილო სატახტოდან კი დასტურ აიბარგა. მის კვალს მიჰყვნენ რუსთა ჯილა მედევისენი, მარატ საფინი (2) და ევგენი კაფელნიკოვიც (5), რომლებიც აგერ უკვე მერამდენე ტურნირია, ერთად იწყებენ და მერე ერთადვე ამთავრებენ ხოლმე.

კუჩერასა და აგასის აქამდე 6-ჯერ ეთამაშათ და ორივე სამ-სამ გამარჯვებას მოიძევდა. მათ იმდღევანდელ შეხლას თავიდან ისეთი პირი უჩანდა, რომ ჩემპიონთა რბოლაში ლეიტონ ჰიუიტის მადევარი არმენოამერიკელი სასწორის თავის სასარგებლოდ გადახრას შეძლებდა — პირველი სეტი ხეირიანად არც გახურებულიყო, სლოვაკის ერთის წილ უკვე ოთხი გეიმი რომ მოეგო. მაგრამ მთელი სორომგორომიც მერე მოხდა. კუჩერამ თავდაპირველი აღელვება გაინელა, ჯიგარი დაიცხრო და ისე აჩოგნავდა, ბებერი ანდრანიკი ჭყინტი ბიჭივით სულ მარჯვნივ-მარცხნივ აპამპულა.

ჰო, მის თამაშს ადვილად ვეწყობიო, ლაღობდა მერე. ჩვენ უკვე შვიდი ბრძოლა გადაგვიხდია და ერთმანეთის ავან-ჩავანი კარგად ვუწყითო.

მას აგასიც ეთანხმებოდა, ოღონდ იმასაც დასძენდა, რომ კუჩერა სირთულეებს მხოლოდ მას არ უქმნის: „ის არა მხოლოდ ჩემთვისაა არასასურველი მეტოქე. დღეს ის საუცხოოდ აწვდიდა და ერთი შანსიც არ მომცა, გაღმა გავდავებოდი. თავიდან ცოტა ღელავდა, მაგრამ მერე დამშვიდდა და ისე აგრესიულად მომეძალა, ველარაფერი დავუპირისპირე".

შეგახსენებთ, რომ კუჩერას ბოლო ორი სეზონი გაუთავებელმა ტრავმებმა წაუმურდლა და იმედია, ეს გამარჯვება ვაგლახად შეჭოჭმანებულ თვითრწმენას რამდენადმე მაინც გაუმყარებს. აგასიმ კი დაკარგა დიდებული შანსი, მასსა და ჩემპიონთა რბოლის პირველადგილოსან ლეიტონ ჰიუიტს შორის არსებული 43-ქულიანი სხვაობა უფრო მეტად შეემცირებინა — კაცთა ამქრის ოზი უსტაბაში ხომ წინა დღეს სტოკჰოლმის ტურნირიდან დაიფრინეს.

სხვაფრივ — სლოვაკივე გამოდგა ევგენი კაფელნიკოვის მაოტარიც. დომინიკ ჰრბატი მას აქამდეც 8:4 უგებდა, ნაპეტერბურგევს კი მას უკვე რუსთა ყველაზე სახელიანი მეჩოგნის 9-გზისი ძლევით ტრაბახიც შეეძლება.

ჰრბატი: „ჩვენ მსგავსი სტილით ვთამაშობთ, ამიტომ მასთან შეხვედრისას არაფრის ამოცნობა არ მჭირდება, უბრალოდ ჯიგრიანად უნდა გავირჯე".

რაც შეეხება შარშანდელ და შარშანწინდელ ჩემპიონ მარატ საფინს, ის 2000 წლის უიმბლდონის ნახევარფინალისტმა, ბელარუსმა ვლადიმირ ვოლჩკოვმა დაამცრო. მისი ეს მარცხი სხვათა შორის იმასაც ნიშნავს, რომ შანხაის რვაკაცა მასტერსთასის საგზური ჩემპიონთა რბოლაში მესამე საფეხურზე მდგომმა ტლუ სკვითმა ვერც ამ ტურნირზე გაინაღდა.

**შვეიცარიის ძირძველი პირველობა**
ბაზელი. ხალიჩა
საპრიზო 1 მილიონი $

**მეორე წრე**

**ტიმ ჰენმანი** (1, ბრიტანეთი) — ნიკოლა ესკუდე (საფრანგეთი) 1:6, 6:3, 6:2; **ხუან კარლოს ფერერო** (2, ესპანეთი) — ნიკოლა ტომანი (საფრანგეთი) 6:4, 6:2; **როჯერ ფედერერი** (3, შვეიცარია) — ალექსანდერ ვასკე (გერმანია) 6:3, 7:6 (7:1); **ენდი როდიკი** (5, აშშ) — ჯეიმს ბლეიკი (აშშ) 7:6 (8:6), 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (6, არგენტინა) — აგუსტინ კალერი (არგენტინა) 6:2, 3:0 (კალერიმ შეწყვიტა); **ფერნანდო გონსალესი** (7, ჩილე) — ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) 6:4, 7:6 (7:3); **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:3, 6:4; **ფელისიან ლოპესი**? **მანტილია** (ესპანეთი) — ივო ჰოიბერგერი (შვეიცარია) 6:1, 7:6 (7:2)

განსხვავებით პეტერბურგისგან, ბაზელში ალღუმი სწორედ განთესილებს მიჰყავთ. ამათ ჯერ-ჯერობით შეუმცდარად ყრჩობს ტურნირის ორგზის გამარჯვებული და შარშანდელი ჩემპიონი ტიმ ჰენმანი, ვინაც იმ დღეს ფრანგ ესკუდეს პირველი სეტი კი დაუთმო, მაგრამ მერე ორი ზედიზედ წაჰგვარა.

ტიტულის დაცვის გარდა ჰენმანს ბაზელში სხვა მიზანიც აგულიანებს — ჩემპიონთა რბოლაში მეშვიდე ადგილამდე ჩამოსრიალებულს, სურს საშანხაიო პოზიციები გაიუმჯობესოს. არადა, ამის გაკეთება ძალზედ ძნელი საქმე იქნება, რაკიღა ანალოგიური მოტივაცია იქ მისმომდევნოდ განთესილ მეჩოგნეთაც აქვთ.

ადგილობრივთა ფავორიტმა, 21 წლის როჯერ ფედერერმა, უსახელო გერმანელ ვასკეს აჯობა და ახლა ფიცხელ ამერიკელს, ენდი როდიკს შეერკინება. როდიკი თავის მხრივ თვისტომსა და ახლო მეგობარს, შავხუჭუჭა ჯეიმს ბლეიკს გასცდა. ეს მათი მეექვსე შეხლა გახლდათ და ენდიბიჭმა მეექვსედვე იმარჯვა. რაც ევროპაში ჩამოვედი, ეს ჩემი საუკეთესო მატჩი იყოო, ამბობდა მერე. ჩემპიონთა რბოლაში ის ახლა მე-11 ადგილზეა და შანხაიში მოსახვედრად ბაზელში ბლეიკზე აღმატებულ მეტოქეთა ძლევაც სჭირდება.

**სტოკჰოლმის ღია პირველობა**
ჰარდი. საპრიზო 650 ათასი $

**მეორე წრე**

**ანდრეას ვინსიგერა** (შვედეთი) — გილერმო კანიასი (3, არგენტინა) 7:6 (7:5), 6:2; **მარსელო რიოსი** (6, ჩილე) — ჯან-მაიკლ გემბილი (აშშ) 6:2 (გემბილმა შეწყვიტა); **პარადორნ შრიჩაფანი** (7, ტაილანდი) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 6:4, 6:3; **ნიკოლას მასუ** (ჩილე) — რაინერ შიუტლერი (8, გერმანია) 4:6, 7:6 (7:4), 6:3; **ჰიშამ არაზი** (მაროკო) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:4, 6:2; **ტომი რობრედო** (ესპანეთი) — ტოდ მარტინი (აშშ) 6:4, 3:6, 7:6 (7:2); **ფაბრის სანტორო** (საფრანგეთი) — იოახიმ იოჰანსონი (შვედეთი) 6:7 (6:8), 6:4, 7:6 (7:5)

როცა ამ ორი წლის წინ 19 წლის ანდრეას ვინსიგერამ კოპენჰაგენის ტურნირი აიღო, საქმეში ჩახედულმა ხალხმა იგი მსოფლიო საჩოგნეთის ამომავალ ვარსკვლავად შერაცხა. მაგრამ გამოხდა ხანი და ტრავმებით გატანჯულმა ბიჭმა მასზე დამყარებული იმედების მეათედიც ვერ გაამართლა. მისი ვაინაჩრობანი ამ სეზონშიც გრძელდებოდა და სტოკჰოლმამდელ 13 შეხვედრაში მან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო.

მშობლიური გარემო კი ვინსიგერას დასტურ წაადგა — სლოვაკი კაროლ ბეკის ძლევას მან ტურნირზე მესამე ნომრად განთესილი გილერმო კანიასის, ტორონტოს მასტერსტურნირის წლევანდელი მაოხრის ოტებაც მიაყოლა. ჩემპიონთა რბოლაში კანიასს მე-13 ადგილი უპყრია და იმედოვნებდა, რომ საშანხაიო შანსებს ჯერ სტოკჰოლმში, მერე კი პარიზულ მასტერსჭერქვეშ გაიზრდიდა. პირველი სარბიელი გაუცუდდა და უფრო წარმატებული — ვაგლახ — არც მეორე უნდა გამოუდგეს.

ვინსიგერა კი მომდევნო მატჩს ტურნირის მთავარგანთესილად შთენილ მარსელო რიოსთან გამართავს. მსოფლიოს ოდინდელმა მეპირველე ჩილელმა შამანმა ტიტული ან აქ უნდა მოიპოვოს, ანაც პარიზში, თუკი სურს, 1994 წლის შემდეგ პირველი უტიტულო სეზონი არ მიითვალოს.

სულ ბოლოს მორიგი ორიოდ ტკბილი სიტყვა ეგებ პარადორნ შრიჩაფანზეც გვეთქვა, რომელმაც უკანასკნელ რვა ტურნირში თავის მეექვსე მეოთხედფინალს უწია და ბოლო 28 მატჩში უკვე 22-ედ იმარჯვა. ნახევარფინალის საგზურს მას წინა დღეს ლეიტონ ჰიუიტის გამგდები რაემონ სლუიტერი შეეცილება.

ჰო, მართლა — ესპანელმა ტომი რობრედომ ტურნირს გამოასალმა სტოკჰოლმის 1996 წლის ფინალისტი და 1998 წლის ჩემპიონი ტოდ მარტინი. ბებერმა ამერიკელმა ჭაბუკ იბერიელს სამსეტიანი განდაგანა კი გაუმართა, მაგრამ საგამარჯვებო ილაჯი მაინც არ ეყო.

**ლინცის საერთაშორისო ტურნირი**
ჰარდი. საპრიზო 585 ათასი $

**მეორე წრე**

**ჯენიფერ კაპრიატი** (1, აშშ) — პაოლა სუარესი (არგენტინა) 6:4, 6:4; **ელენა დოკიჩი** (3, იუგოსლავია) — ჯილ კრეიბასი (აშშ) 6:2, 6:1; **ჟუსტინ ენენი** (4, ბელგია) — ტატიანა პანოვა (რუსეთი) 6:2, 6:1; **დანიელა ჰანტუხოვა** (5, სლოვაკეთი) — ბარბარა შეტი (ავსტრია) 6:1, 7:5; **ალექსანდრა სტივენსონი** (აშშ) — ანასტასია მისკინა (6, რუსეთი) 6:3, 7:6 (7:5); **ჩანდა რუბინი** (7, აშშ) — ნადია პეტროვა (რუსეთი) 6:2, 6:4; **სილვია ფარინა ელია** (8, იტალია) — მარი-გაიანე მიქაელიანი (შვეიცარია) 6:4, 6:3; **ანა სმაშნოვა** (9, ისრაელი) — ელენა დემენტიევა (რუსეთი) 6:3, 3:6, 7:5

მეორე წრე რუსგოგოებისთვის შავი გამოდგა, ტიტულისთვის ბრძოლას ოთხივე მათგანი — ანასტასია მისკინა (6), ელენა დემენტიევა, ტატიანა პანოვა და ნადია პეტროვა — გამოაკლდა.

მისკინა (6) ამ ბოლოს დროს რიგიანად აჩოგნავებულმა ალექსანდრა სტივენსონმა გააძევა, დემენტიევას რუსებრაელი სმაშნოვა (9) მოერია, პანოვას ჟუსტინ ენენისგან (4) ძლევას ისედაც ყველა ელოდა, ხოლო ლინცის 1997 წლის ჩემპიონი ჩანდა რუბინი (7) სექსფეხება ნადია პეტროვას რომ უნდა მორეოდა, ესეც დასტურ სავარაუდო ამბავი იყო.

ლოგიკურად გასრულდა დანარჩენი შეხვედრებიც — 19 წლის უკვე ამოსულმა სლოვაკმა ვარსკვლავმა ჰანტუხოვამ (5) საათზე 9 წუთით მეტი მოანდომა ადგილობრივთა ჯილაგოგო ბარბარა შეტის დამორჩილებას. ასევე შეუჭირვებლად იმარჯვეს შარშანდელმა ფინალისტმა ელენა დოკიჩმა (3) და ფარინა ელიამაც (8).

ჯენი კაპრიატი (1) მეოთხედფინალში ყველაზე ადრე მოხვდა, რაკიღა პაოლა სუარესს წინა დღით მოუგო. მას ახლა კოჭის ტრავმა აწუხებს და თუკი ავსტრალიის ღია პირველობის შემდეგ მოტიტულყაზზობე იქ გამარჯვებას მაინც ვერ შეძლებს, სწორედ ამ ტრავმის ბრალი იქნება.

**ლევან ძელაურაძე**



ჩრდილოამერიკული ჩემპიონატი

# უგოლო მეგოლეს ყბები ექავება

24 ოქტომბერი

**კალგარი 3:3 დალასი 0:0 1:2 2:1 0:0**

კალგარის ლიდერმა ჯერომ იგინლამ კარგად იცის, რა ტვირთიც აწევს კისერზე. აკი თვითონაც ამბობს, ჩემგან გაცილებით ბევრს ელიან, ეს ბიზნესია და ვინც არ გაამართლებს იმედებს, თავად დაზარალდებაო. შავკანიანმა ფორვარდმა დიდებულად ჩაატარა გასული სეზონი და მისი ერთ-ერთი აღმოჩენა გახდა. ზაფხულში კლუბმაც დაუფასა შრომა და ერთობ სარფიანი კონტრაქტი გაუფორმა, მაგრამ მწვერვალზე თავის შეკავებაც ხომ ძნელია. მისი ყველას ეიმედება და ფიქრობენ, წლეულს ისე მოუმატებს, კალგარის ხანგრძლივ უპლეიოფო ხანას წერტილს დაუსვამსო. ცხადია, ჯერომიც ცდილობს, მაგრამ 2 გოლი 7 თამაშში შარშანდელ შედეგთან რა მოსატანია. ჰოდა, ახალგაზრდა, ემოციურ ფორვარდს რაც ბოლმა დაუგროვდა, ხუთშაბათს დალასთან თამაშში ამოანთხია — პირველი პერიოდის შუახანს იგი დალასის ლიდერ ბილ გერინს შეება და კალგარელი მაყურებლიც უნიკალური ფაქტის, გასული სეზონის ორი საუკეთესო მეგოლის ჩხუბის მოწმე გახდა. ორივე ძალისმიერი ფორვარდია, ღონე ორივეს ერჩის და ისეთი ბრძოლა გაჩაღდა, საუკეთესო მოკრივეებსაც შეშურდებოდათ. რამდენიმე ჰუკის გაცვლის შემდეგ ბოლო სიტყვა მაინც იგინლამ თქვა ჯახი ულამაზესი აპერკოტით დაასრულა და 14 500 კმაყოფილი მაყურებლის ოვაცია დაიმსახურა. ამის შემდეგ იგინლამაც და გერინმაც ყინული უქულოდ დატოვეს.

**ფილადელფია 6:2 მონრეალი 1:1 3:1 2:0**

წინა სეზონის კიდევ ერთ აღმოჩენას, მონრეალის მეკარე ჟოზე თეოდორსაც საკმაოდ უჭირს. რამდენიმე წაგებული მატჩის შემდეგ (მათ შორის ფილადელფიასთან) იგი სათადარიგოთა სკამზე აღმოჩნდა, ხოლო მისმა შემცვლელმა ჯეფ ჰეკეტმა ორივეში იჯოჩალა, მაგრამ 6-მილიონიანი კონტრაქტის მქონე მოთამაშის თადარიგში ყოფნა ხომ გაუგონარი რამაა. ჰოდა, „მფრინავებთან" მორიგ მატჩში თეოდორს თავისი რეაბილიტაციის შანსი მიეცა და... 4 გაშვებული შაიბის შემდეგ, 27-ე წუთზე, კვლავ სკამს მიაშურა.

**აილენდერსი 5:3 ფლორიდა 1:1 3:2 1:0**

**ბოსტონი 2:2 ოტავა 1:0 0:1 1:1 0:0**

**ნეშვილი 1:2 სან ხოსე 0:1 0:1 1:0**

**ჩიკაგო 2:3 მინესოტა 0:0 0:1 2:2**

ჩემპიონატის დაწყებამდე ვინ იფიქრებდა, რომ ორი კვირის შემდეგ ლიგაში ლიდერობისთვის... ტამპა და მინესოტა იბრძოლებდნენ. თუმც ფაქტი ფაქტად რჩება. ორშაბათს 10 ქულით ლიგაში დაწინაურებულ ტამპას მეორე დღეს მინესოტამ გაუსწრო, რომელმაც შთამბეჭდავი საშინაო თამაშის შემდეგ სტუმრადაც მოიგო.

**ვანკუვერი 2:2 ანაჰაიმი 1:0 0:1 1:1 0:0**

**ედმონტონი 1:2 სენტ ლუისი 1:0 0:1 0:1**

**ფინიქსი 2:3 კოლორადო 2:2 0:2 0:1**

პატრიკ რუამ მაინც მიაღწია საწადელს. ფინიქსთან მან კარიერაში 972-ე თამაში ჩაატარა, რამაც ის ლიგის ერთპიროვნულ ლიდერად აქცია. „წმინდა პატრიკმა" ჩინებულად იასპარეზა და დიდი წვლილი შეიტანა მოგებაში, რომელიც მისი მრავალი წლის პარტნიორის, მაიკ კინის დამსახურებაა. „ამდენი წელია, ვმეგობრობთ და ძალიან მიხარია, პატრიკს რომ დავეხმარე" — თქვა მატჩის შემდეგ კინმა

**სამველ ლარიბიანი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან ძელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბეხელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge